

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სახელი, გვარი მარიამ ხუციშვილი

წევრები:

აკაკი სადუნიშვილი- (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

ხათუნა თოიძე-(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ლელა კვირტია- (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნინო ბურჯანაძე- (უცხოენების საგნობრივი ექსპერტი ,წევრი)

მარიამ ლეკიაშვილი- (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ირმა შველიძე-(მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

თეა ღვინიაიძე- (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ქეთევან ცირეკიძე- (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ხათუნა კალმახელიძე- (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

კობა დეკანაძე- (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ		
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა	
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	236087818	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძეგვი
იურიდიული მისამართი	მცხეთა, სოფელი ძეგვი, 1-ლი ქუჩა N5
ფაქტობრივი მისამართი	მცხეთა, სოფელი ძეგვი, 1-ლი ქუჩა N5
საფოსტო ინდექსი	3307
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლას ვებგვერდი არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	dzegvi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577971114

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 15 მაისის N 9 23 0000547166 ბრძანების საფუძველზე 2023 წლის 12-13 ივნისს დაგეგმილი ავტორიზაციის ვიზიტი
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	12-13 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფუძვრი	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების
---	--	--	----------------------	---

			პროგრამის განხორციელების ენა	ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული	მცხეთა, სოფელი ძეგვი, 1-ლი ქუჩა N5
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მცხეთა, სოფელი ძეგვი, 1-ლი ქუჩა N5
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მცხეთა, სოფელი ძეგვი, 1-ლი ქუჩა N5

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის ეფექტური წარმართვისთვის, წინასწარ შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.

ექსპერტა ჯგუფის შემადგენლობაში განისაზღვრა სულ თერთმეტი ავტორიზაციის ექსპერტი, რომელთაგან ორი ზოგადი განათლების, ხოლო ცხრა საგნობრივი მიმართულების ხარისხის ექსპერტი. ჯგუფს თავმჯდომარეობდა ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი.

ექსპერტები ვიზიტის პერიოდში გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს- სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, ბიბლიოთეკარს, ექიმს, სპეციალურ მასწავლებლებს, ბუღალტერს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა ასევე სკოლის საგნობრივ კათედრების მასწავლებლებთან.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივი ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისა) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩატარებინათ ინტერვიუები .

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, თუმცა არასრულად. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს ზოგიერთი საკითხი. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და მოსწავლეებში პროფესიული უნარების გამომუშავების მიზნით 2022-2023 სასწავლო წელს სსიპ- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლას ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმი სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯთან. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე ტარდებოდა საორიენტაციო კურსები მეხილეობაში და სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მიმართულებით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 აღამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7	☒ შეესაბამება

ფინანსური რესურსები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი დაწესებით საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურზე	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3	☐ შეესაბამება

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურზე	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა:	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება	450 ვიზიტის პერიოდში, სასკოლო ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგად, ექსპერტთა მოსაზრებით სკოლაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა შესაძლებელია განისაზღვროს 450 მოსწავლით. აღსანიშნავია, რომ სკოლაში განთავსებულია 9 საკლასო ოთახი, ამ ეტაპზე სწავლა მიმდინარეობს ორ ცვლაში.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

მეტწილ შესაბამისად შეფასდა:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

ინდიკატორი N....		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)^[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 1.2.1. 1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	სკოლამ შექმნას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტაცია. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის პერიოდში).

ინდიკატორი 1.2.1. 2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლამ შეიმუშაოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 ოქტომბრის 1 ნოემბრის პერიოდში)
ინდიკატორი 1.2.1. 4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 ნოემბრის 15 ნოემბრის პერიოდში)
ინდიკატორი 1.2.2. 1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	სკოლამ შეიმუშაოს სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის პერიოდში).

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი 3.1.1. 1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლის დონეზე გაიწეროს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია-მოვალეობები (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის პერიოდში).
ინდიკატორი 3.1.2. 2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	სკოლამ შეიმუშაოს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის პერიოდში).

ინდიკატორი 3.1.2. 3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;	სკოლის დონეზე შემუშავდეს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და დასაქმებულების მხრიდან უზრუნველყოს კანონმდებლობით მოთხოვნილი დოკუმენტების სკოლაში წარდგენა. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის პერიოდში).
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ ექიმის პოზიციაზე დაასაქმოს №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით შესაბამისი კვალიფიკაციის პირი. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 ივნისიდან 2024 1 მარტის პერიოდში).
ინდიკატორი 3.4.1. 5	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლამ გაწეროს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი (იხ ინდიკატორის აღწერა). (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის პერიოდში).

ინდიკატორი 3.5.1. 3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლა უზრუნველყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა ინკლუზიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 15 სექტემბრიდან 2024 15 სექტემბრის პერიოდში).
ინდიკატორი 3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამი საქმისწარმოების წესი;	სკოლამ შემუშავოს საქმისწარმოების წესი. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის პერიოდში).
ინდიკატორი 3.6. 3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ადმინისტრირება და მასზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 12 აგვისტოდან 20 ნოემბრის პერიოდში).

ინდიკატორი 3.6. 3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ადმინისტრირება და მასზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 12 აგვისტოდან 20 ნოემბრის პერიოდში).
ინდიკატორი 3.6. 3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ადმინისტრირება და მასზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 12 აგვისტოდან 20 ნოემბრის პერიოდში).
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

ინდიკატორი 4.1.1.	3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება	სკოლამ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმება. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 10 სექტემბრიდან 25 სექტემბრის პერიოდში).
ინდიკატორი 4.1.2	1. სკოლ ას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძღვევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	სკოლას შეიმუშაოს მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების, მობილობის და შეწყვეტის პროცედურები (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 10 სექტემბრიდან 25 სექტემბრის პერიოდში).

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურში	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლამ უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.

		(წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 15 ნოემბრიდან 15 დეკემბრის პერიოდში).
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან 11 სექტემბრის პერიოდში).
ინდიკატორი 2.3.1.2	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;	სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან 11 სექტემბრის პერიოდში).
ინდიკატორი 2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან 11 სექტემბრის პერიოდში).

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლამ უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 15 ნოემბრიდან 15 დეკემბრის პერიოდში).
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან 11 სექტემბრის პერიოდში).

ინდიკატორი 2.3.1.2	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;	სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან 11 სექტემბრის პერიოდში).
ინდიკატორი 2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან 11 სექტემბრის პერიოდში).

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	სკოლამ შეიმუშაოს უცხო ენების, სახელმწიფო ენის და სპორტის კათედრების კურიკულუმები (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან 9 სექტემბრის პერიოდში).

ინდიკატორი 2.2.1.5	სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.	სკოლამ შეიმუშაოს უცხო ენების, სახელმწიფო ენის და სპორტის კათედრების კურიკულუმები (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან 9 სექტემბრის პერიოდში).
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	სკოლამ შეიმუშაოს უცხო ენების, სახელმწიფო ენის და სპორტის კათედრების კურიკულუმები (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან 9 სექტემბრის პერიოდში).
ინდიკატორი 2.2.2.2	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;	სკოლამ შეიმუშაოს უცხო ენების, სახელმწიფო ენის და სპორტის კათედრების კურიკულუმები

		(წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან 9 სექტემბრის პერიოდში).
ინდიკატორი 2.2.2.3	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის პოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	სკოლამ შეიმუშაოს უცხო ენების, სახელმწიფო ენის და სპორტის კათედრების კურიკულუმები (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან 9 სექტემბრის პერიოდში).
ინდიკატორი 2.2.2.4	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სკოლამ შეიმუშაოს უცხო ენების, სახელმწიფო ენის და სპორტის კათედრების კურიკულუმები (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან 9 სექტემბრის პერიოდში).
ინდიკატორი 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლამ უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 15 ნოემბრიდან 15 დეკემბრის პერიოდში).

ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან 11 სექტემბრის პერიოდში).
ინდიკატორი 2.3.1.2	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;	სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან 11 სექტემბრის პერიოდში).
ინდიკატორი 2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები. (წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები განხორციელდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან 11 სექტემბრის პერიოდში).

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 3.1.1. 2	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.	სასურველია ხელშეკრულების გარდა სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციაში (მაგალითად შინაგანაწესში) უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების ფუნქცია მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.2. 5	პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;	მნიშვნელოვანია სკოლაში შემუშავდეს ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც დაარეგულირებს სასკოლო სივრცეში ორგანიზაციულ საკითხებს. მაგ : გამოიკითხოს სასკოლო საზოგადოება და გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იყოს ორგანიზაციული და მონაწილეობითი კულტურის ასამაღლებლად. მაგ : წახალისების ფორმების დადგენა, რომელიც მოტივაციის გაზრდის სკოლის როგორც ინსტიტუციის მმართველობით სტრუქტურაში უფრო მეტად ჩაერთოს სკოლაში დასაქმებული პირები.
ინდიკატორი 3.2.1. 1	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროება დადგენის მექანიზმები;	სასურველია სკოლა უფრო მეტად აქცენტირდეს პროფესიული განვითარების საჭიროებების მიმართულებით, საჭიროა მომზადდეს კონკრეტული რუბრიკები, შესაძლებელია შემუშავდეს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ჩარჩო, აღნიშნული მასწავლებლებს დაეხმარება ურთიერთანამშრომლობასა და ურთიერთშეფასებაში.

ინდიკატორი 3.2.1. 3	სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;	პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სასურველია პროცესების მეტი დეტალიზება და კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა მაგ : სემინარებისა და ტრენინგ კურსების დაგეგმვა და განხორციელება.
ინდიკატორი 3.2.1. 5	წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.	სკოლაში საკონსულტაციო საბჭოს ფუნქციონირებისათვის სასურველია კათედრები თანაბრად იყოს წარმოდგენილი ჯგუფში, რომელთა ფუნქციონირებისთვისაც საჭიროა შეიქმნას დებულება, სადაც გაწერილი იქნება რა ფუნქცია-მოვალეობები გააჩნია ჯგუფის წევრებს, რომლის ერთ-ერთ მოიაზრებოდეს კათედრების მხრიდან ინიციატივების ადმინისტრაციის დონეზე განხილვა და წარმოდგენა.
ინდიკატორი 3.3.1. 3	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;	სამომავლოდ სასურველია, კანონმდებლობის შესაბამისად სკოლაში ცალკე დოკუმენტად გაწეროს დისციპლინარული გადაცდომის შედეგად გამოვლენილი პირის მიერ გასაჩივრების პროცედურები.

3.3. პროცესის მართვა 2.1 სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	სასურველია, რომ მეტი სიცხადისათვის სკოლამ მოამზადოს დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი მექანიზმები, რომელიც გამოყენებული იქნება უფრო სკოლის საქმიანობაში სასკოლო საზოგადოების კიდევ უფრო მეტად ჩართულობის გასაზრდელად. შესაძლებელია აღნიშნული მექანიზმები, პუნქტებად გაიწეროს სკოლის შინაგანაწესშიც.
ინდიკატორი 3.4.1. 6	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვით მექანიზმები;	სასურველია გაიწეროს კანონმდებლობის შესაბამისად პირადი ინფორმაციის დამუშავებისა და გამოყენების მექანიზმები, რომელიც ასახული იქნება პერსონალის მართვისა და მხარდამჭერის დოკუმენტში. ასევე მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პუნქტები ასახული უნა იყოს დასაქმებულთა ხელშეკრულებებსა და მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი 3.5.1. 2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	სასურველია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი უფრო მეტად დაზუსტდეს, მაგალითად გაიწეროს წიგნების დამუშავების სპეციფიკა, წიგნის გატანის და დაბრუნების პროცედურები და ა.შ.
ინდიკატორი 3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.	სასურველია მეტი სიცხადისთვის ცალკე დოკუმენტად გაიწეროს ტექნოლოგიების მოხმარების წესები.
ინდიკატორი 3.6.3. 2	სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;	სკოლის ბლოგი საჭიროებს განახლებას და ახალი ინფორმაციის დამატებას, რაც კიდევ უფრო მეტად თვალსაჩინოს გახდის სკოლის, როგორც ინსტიტუციის ფუნქციონირებასა

ინდიკატორი 3.6.3. 3	3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;	სასურველია სკოლამ შექმნას ელექტრონული კითხვარები, რომლის გამოყენებითაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფრო დეტალურ უკუკავშირს მიიღებს, რომლის დამუშავების შემდეგაც მოახერხებს უფრო მეტად უზრუნველყოს და დააკმაყოფილოს სასკოლო სივრცეში წარმოდგენილი ინტერესთა ჯგუფების ინტერესები.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	რჩევა
--------------	--	-------

ინდიკატორი 2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.	სასურველია, კურიკულუმი გაზიარებული იყოს არა მხოლოდ ცალკეული კათედრებისთვის და კლასებისთვის, არამედ შეიქმნას ინსტრუმენტი რომლის საშუალებითაც მთლიანი სასკოლო საზოგადოებისთვის იქნება გაზიარებული დაწყებითი კლასების კურიკულუმი (მაგალითად ქართული ენის კათედრაზე V-VI კლასების დონეზე კურიკულუმის გაზიარების ხერხები ბუნდოვანი დარჩა). განსაკუთრებით სკოლამ უნდა იზრუნოს და გამოახოს ფორმა და მეთოდოლოგია, იმისთვის, რომ უზრუნველყოს მშობელთა და მოსწავლეთა მეტი ჩართულობა ამ პროცესებში.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია სკოლის ფარგლებში კათედრების გამოცდილების გათვალისწინებით კათედრებზე (მეტწილად საბუნებისმეტყველო კათედრაზე) შემუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩოები.

ინდიკატორი 2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	მნიშვნელოვანია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სასურველია გაიწეროს დიაგნოსტიკური შეფასების სისტემა, რომლის ფუნქცია იქნება მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვება და მისი ანალიზი, მოსწავლის საჭიროებების და ძლიერი მხარეების გამოვლენა, მოსწავლის დინამიკის პროცესის აღწერა რაც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული მიდგომების დახვეწას სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;	სასურველია სკოლამ გამოიყენოს შეფასების მრავალფეროვანი სისტემა. მაგალითად ისეთი საშუალებები როგორიცაა დაკვირვება, წერილობითი უკუკავშირი, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება და ა.შ... აარჩიონ მიმდინარე და შემავალად განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები და მოარგონ კონკრეტული დავალების პირობას. ასევე, სკოლამ წარმოადგინოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საგან უცხო ენის კათედრაზე და საგანში “ჩვენ საქართველო”.

ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმში აღწერილი აქტივობების მეტი კონკრეტიზაცია, მეტი მრავალფეროვნება და მეტად აქცენტის გაკეთება პრობლემაზე დაფუძნებული დავალებების გადაჭრაზე, სასკოლო პროექტებზე, საკლუბო აქტივობებზე და სხვა... რაც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში: კომპლექსური დავალებები გაწეროს
ინდიკატორი 2.2.1.3	სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;	მნიშვნელოვანია აღნიშნული ტიპის დავალებების შესრულებაში ჩავრთოთ ყველა მოსწავლე. სასურველია შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის პროცესში ყურადღება გამახვილდეს რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში... ასევე მასწავლებლებმა ხშირად გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში თანატოლთა შეფასება, თვითშეფასების რუბრიკები და ა.შ...
ინდიკატორი 2.2.1.5	სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.	სასურველია კათედრებს შორის თანამშრომლობის გამოკვეთა, ინტეგრირებული გაკვეთილებისა და კომპლექსური დავალებების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელება, სადამრიგებლო საათებში შესაბამისი აქტივობების ჩაშენება და არაფორმალური განათლების კიდე უფრო გაძლიერება.

ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	სასურველია სკოლამ გაწეროს გრძელვადიანი და შუალედური მიზნები ყველა კლასში, კონსტრუქციული სიღრმისეული სწავლის მიდგომების განსახორციელებლად აუცილებელია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის, ამას კი უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და სრულყოფილად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები თავისი რეფლექსიით და მოსწავლეთა შედეგების ანალიზი.
ინდიკატორი 2.2.2.3	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	საგანებში: „ჩვენი საქართველო“, ინგლისურ ენა, რუსული, ბუნებისმეტყველება ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება და შეიქმნას შეფასების რუბრიკების ნიმუშები.
ინდიკატორი 2.2.2.4	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საგანებში: „ჩვენი საქართველო“, ინგლისურ ენა, რუსული, ბუნებისმეტყველება ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება და შეიქმნას შეფასების რუბრიკების ნიმუშები.
ინდიკატორი 2.2.3.1	სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;	სასურველია 2022-2023 სასწავლო წლიდან პედაგოგების ურთიერთდასწრების პროცესში უკუკავშირი ასევე განხორციელდეს წერილობითი სახითაც.

ინდიკატორი 2.2.3.2	სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;	სასურველია სკოლამ მუდმივად აწარმოოს მოსწავლეთა საჭიროებებისა და პროგრესის მონიტორინგი. მასწავლებლის მიერ უნდა ხდებოდეს პერიოდული გამოკითხვები, დიაგნოსტიკური შეფასების, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, რომლის ანალიზის შედეგად მის მიერ შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინონ თითოეული მოსწავლის საჭიროება.
ინდიკატორი 2.3.2.1	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;	შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთ შეფასების რუბრიკებისაც.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	რჩევა
--------------	---------------------------------------	-------

ინდიკატორი 2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.	სასურველია, კურიკულუმი გაზიარებული იყოს არა მხოლოდ ცალკეული კათედრებისთვის და კლასებისთვის, არამედ შეიქმნას ინსტრუმენტი რომლის საშუალებითაც მთლიანი სასკოლო საზოგადოებისთვის იქნება გაზიარებული საშუალო კლასების კურიკულუმი (მაგალითად ქართული ენის კათედრაზე V-VI კლასების დონეზე კურიკულუმის გაზიარების ხერხები ბუნდოვანი დარჩა). განსაკუთრებით სკოლამ უნდა იზრუნოს და გამონახოს ფორმა და მეთოდოლოგია, იმისთვის, რომ უზრუნველყოს მშობელთა და მოსწავლეთა მეტი ჩართულობა ამ პროცესებში.
ინდიკატორი 2.1.2.1	შეუმავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია ყველა კათედრაზე კურიკულუმის ჩარჩოში ცალკეული თემის ფარგლებში გაიწეროს სამიზნე ცნება/ქვეცნება, სასწავლო რესურსები. შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვროს სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	მატრიცებისგან უნდა აიგოს ისეთი კურიკულუმები, რომლების ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. კომპლექსური დავალებებში უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, დასაზუსტებელი აქვთ თუ არა საკითხთა კლასტერის გამოყოფა, შესაბამისი ქვეცნებისა და ქვესაკითხის დაზუსტება. ისტორიაში გათვალისწინებულ იქნას მერვე და მეცხრე კლასებში ყველა თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. საგან გეოგრაფიაში გაიწეროს ყველ სავალდებულო თემა და გათვალისწინებული იქნას ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი.
---------------------------	--	--

ინდიკატორი 2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	მნიშვნელოვანია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სასურველია გაიწეროს დიაგნოსტიკური შეფასების სისტემა, რომლის ფუნქცია იქნება მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვება და მისი ანალიზი, მოსწავლის საჭიროებების და ძლიერი მხარეების გამოვლენა, მოსწავლის დინამიკის პროცესის აღწერა რაც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული მიდგომების დახვეწას სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;	სკოლამ შეიმუშაოს ესგ-ის შესაბამისი შეფასების ჰოლისტური სისტემა, რომელიც იქნება სწავლების განუყოფელი ნაწილი და მოიცავს მრავალფეროვანი მეთოდისა და ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას. შეფასების ძირითადი პრინციპები ყველა კათედრაზე მოიცვანონ შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, დაუკავშირონ გრძელვადიან მიზნებს. ჩართონ მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში. გამოიყენონ შეფასების ისეთი საშუალებები როგორიცაა დაკვირვება, წერილობითი უკუკავშირი, თვითშეფასება, ურთიერთ შეფასება და ა.შ... წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები...

ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმში აღწერილი აქტივობების მეტი კონკრეტიზაცია, მეტი მრავალფეროვნება და მეტად აქცენტის გაკეთება პრობლემაზე დაფუძნებული დავალებების გადაჭრაზე, სასკოლო პროექტებზე, საკლუბო აქტივობებზე და სხვა... რაც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში: შეძლონ გამოწვევების მიღება, იდენტიფიცირება მოახდინონ და განიხილონ/გადაწყვიტონ პრობლემა, გაეცნონ ინფორმაციას, დაამუშაონ და გადმოსცენ იგი სხვადასხვა კონტექსტში. ეს თავისთავად გაზრდის მათ მოტივაციასა და ჩართულობას. სასურველია სკოლას ქონდეს განხორციელებული ღონისძიებების, პროექტების და სხვა აქტივობების ჩამონათვალი ესთეტიკური აღზრდის საგნების კუთხით.
ინდიკატორი 2.2.1.2	ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;	სასურველია მუსიკის საგნის 7-9 კლასების კურიკულუმებში განისაზღვროს ქვეცნებებსა და ქვესაკითხებს შორის სხვაობა. ქვეცნება არის ცნების რაიმე წახნაგი, ქვესაკითხი კი არის ცნების მიმართება საკითხთან.

ინდიკატორი 2.2.1.3	სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;	მნიშვნელოვანია დავალებების შესრულებაში ჩაერთოთ ყველა მოსწავლე. სასურველია შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის პროცესში ყურადღება გამახვილდეს რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში... ასევე მასწავლებლებმა ხშირად გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში თანატოლთა შეფასება, თვითშეფასების რუბრიკები და ა.შ...
ინდიკატორი 2.2.1.5	სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.	ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იქნებოდა კათედრებს შორის თანამშრომლობის გამოკვეთა, ინტეგრირებული გაკვეთილებისა და კომპლექსური დავალებების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელება, სადამრიგებლო საათებში შესაბამისი აქტივობების ჩაშენება და არაფორმალური განათლების კიდევ უფრო გაძლიერება

ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	სკოლას სსგ-ში განსაზღვრული აქვს გრძელვადიანი მიზნები საფეხურის ფარგლებში ზოგადად, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სკოლამ უზრუნველყოს უშუალოდ სამიზნე ცნებების/ქვეცნებების გაწერა კურსკულუმში ცალკეული თემის შესაბამისად და ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ კონსტრუქციული სიღრმისეული სწავლის მიდგომების განსახორციელებლად აუცილებელია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის, ამას კი უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და სრულყოფილად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები თავისი რეფლექსიით და მოსწავლეთა შედეგების ანალიზი.
ინდიკატორი 2.2.2.3	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	საგანებში: „ჩვენი საქართველო“, ინგლისურ ენა, რუსული, ბუნებისმეტყველება, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება და შეიქმნას შეფასების რუბრიკების ნიმუშები.
ინდიკატორი 2.2.2.4	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საგანებში: „ჩვენი საქართველო“, ინგლისურ ენა, რუსული, ბუნებისმეტყველება, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება და შეიქმნას შეფასების რუბრიკების ნიმუშები.

ინდიკატორი 2.2.3.1	სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდაჭერი და მიმღებლობითი გარემო;	სასურველია კათედრის ყველა წევრი ერთიანად იყოს ჩართული თანამშრომლობით პროცესში და მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული თითოეული წევრის აზრი.
ინდიკატორი 2.2.3.2	სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;	სასურველია სკოლამ მუდმივად აწარმოოს მოსწავლეთა საჭიროებებისა და პროგრესის მონიტორინგი. მოსწავლეების მიერ უნდა ხდებოდეს პერიოდული გამოკითხვები, დიაგნოსტიკური შეფასების, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, რომლის ანალიზის შედეგად მის მიერ შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინონ თითოეული მოსწავლის საჭიროება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ შეფასების რუბრიკები მორგებული უნდა იყოს თემის ფარგლებში დასამუშავებელ თითოეულ სამიზნე ცნებაზე და მკვიდრ წარმოდგენებზე, რაც კიდევ უფრო მეტად გამოკვეთს სასწავლო პროცესში მოსწავლის როლს.
ინდიკატორი 2.2.3.3	სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს თანამშრომლობითი და პოზიტიური კულტურის დამკვიდრება: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური დირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა.

ინდიკატორი 2.2.3.4	უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს თანამშრომლობითი და პოზიტიური კულტურის დამკვიდრება: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა. ვინაიდან ამ ეტაპზე დოკუმენტურად არ გამოიკვეთა აღნიშნული სიტუაციის გადაჭრის ინტერვენციები სკოლის მხრიდან.
ინდიკატორი 2.3.2.1	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;	შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთ შეფასების რუბრიკებისაც.
ინდიკატორი 2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;	შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება.. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთ შეფასების რუბრიკებისაც.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.	სასურველია, კურიკულუმი არა მხოლოდ ცალკეული კათედრებისთვის და კლასებისთვის, არამედ შეიქმნას ინსტრუმენტი რომლის საშუალებითაც მთლიანი სასკოლო საზოგადოებისთვის იქნება გაზიარებული საშუალო კლასების კურიკულუმი. განსაკუთრებით სკოლამ უნდა იზრუნოს და გამოაწიოს ფორმა და მეთოდოლოგია, იმისთვის, რომ უზრუნველყოს მშობელთა და მოსწავლეთა მეტი ჩართულობა ამ პროცესებში.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია სკოლის ფარგლებში კათედრების გამოცდილების გათვალისწინებით კათედრებზე (მეტწილად უცხო ენების, სახელმწიფო ენის, და სპორტის კათედრებზე) შემუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩოები.

ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)	რჩევა- მატრიცებისგან უნდა აიგოს ისეთი კურიკულუმები, რომლების ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. კომპლექსური დავალებებში უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, დასაზუსტებელი აქვთ თუ არა საკითხთა კლასტერის გამოყოფა, შესაბამისი ქვეცნებისა და ქვესაკითხის დაზუსტება.
ინდიკატორი 2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს	რჩევა : მნიშვნელოვანია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სასურველია გაიწეროს დიაგნოსტიკური შეფასების სისტემა, რომლის ფუნქცია იქნება მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვება და მისი ანალიზი, მოსწავლის საჭიროებების და ძლიერი მხარეების გამოვლენა, მოსწავლის დინამიკის პროცესის აღწერა რაც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული მიდგომების დახვეწას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს	სკოლამ შეიმუშაოს ესგ-ის შესაბამისი შეფასების ჰოლისტური სისტემა, რომელიც იქნება სწავლების განუყოფელი ნაწილი და მოიცავს მრავალფეროვანი მეთოდისა და ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას. შეფასების ძირითადი პრინციპები ყველა კათედრაზე (უმეტესწილად უცხოელების, ქართული ენის, სპორტის კათედრებზე) მოიცვანონ შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასების კრიტერიუმები დაუკავშირონ გრძელვადიან მიზნებს. ჩართონ მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში. გამოიყენონ შეფასების ისეთი საშუალებები როგორიცაა დაკვირვება, წერილობითი უკუკავშირი, თვითშეფასება, ურთიერთ შეფასება და ა.შ... წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები...
ინდიკატორი 2.2.1.2	ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;	სკოლამ შეიმუშაოს და წარმოადგინოს საშუალო საფეხურის 10-12 კლასების კურიკულუმები სპორტის, სახელმწიფო ენის და უცხო ენების კათედრებზე, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა სტანდარტის მოთხოვნები იყოს შესაბამისი.

ინდიკატორი 2.2.1.3	სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;	სკოლამ შეიმუშაოს და წარმოადგინოს სპორტის, სახელმწიფო ენის და უცხო ენების 10-12 კლასების კურიკულუმები, რომლების სასწავლო პროცესში განხორციელების დროს აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირების და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება, რათა სტანდარტის მოთხოვნები იყოს შესაბამისი.
ინდიკატორი 2.2.3.2	სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;	სასურველია სკოლამ მუდმივად აწარმოოს მოსწავლეთა საჭიროებებისა და პროგრესის მონიტორინგი. მასწავლებლის მიერ უნდა ხდებოდეს პერიოდული გამოკითხვები, დიაგნოსტიკური შეფასების, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, რომლის ანალიზის შედეგად მის მიერ შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინონ თითოეული მოსწავლის საჭიროება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სკოლამ შეიმუშაოს და წარმოადგინოს საშუალო საფეხურის 10-12 კლასების კურიკულუმები
ინდიკატორი 2.2.3.3	სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;	სასურველია კათედრის ყველა წევრი ერთიანად იყოს ჩართული თანამშრომლობით პროცესში და მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული თითოეული წევრის აზრი.

ინდიკატორი 2.3.2.1	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;	შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც.
ინდიკატორი 2.2.3.1	სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;	სასურველია კათედრის ყველა წევრი ერთიანად იყოს ჩართული თანამშრომლობით პროცესში და მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული თითოეული წევრის აზრი.
ინდიკატორი 2.2.3.3	სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს თანამშრომლობითი და პოზიტიური კულტურის დამკვიდრება: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური დირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა.

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

1. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ახალი მისიისა და ხედვის სამუშაო ვერსია, რომელსაც სასკოლო საზოგადოება განიხილავს სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად.

წარმოდგენილი მონახაზის მიხედვით სსიპ- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის მისიაა: **ძეგვის საჯარო სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში, აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები.**

წარმოდგენილი მონახაზის მიხედვით სსიპ- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის ხედვაა: **სსიპ- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის ხედვაა უზრუნველყოს მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლების მაღალი ხარისხი, ურთიერთთანამშრომლობის, პროფესიული ზრდისა და ინოვაციური სასწავლო გარემოს შექმნის გზით. დანერგოს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, ხელი შეუწყოს მის საგნობრივ და ფიზიკურ განვითარებას.**

სკოლაში არსებული მისიაც და ხედვაც, ასევე შემუშავებული მისიის და ხედვის მონახაზი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო მიზნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის და ხედვის პროექტის მიხედვით, მოსწავლეთა სწავლების და აღზრდის მაღალი ხარისხის მისაღწევად სკოლა გეგმავს შექმნას ინოვაციური სასწავლო გარემო, რაც ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ახალი მისიისა და ხედვის სამუშაო ვერსია, რომელიც შეიმუშავა სასკოლო ადმინისტრაციამ პედაგოგებთან ერთად. სკოლის ღირებულების განცხადებით ამ ეტაპზე სიტყვიერად მოხდა სასკოლო საზოგადოებასთან განხილვა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების და 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე უფრო აქტიურად მოხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. ასევე ინტერვიუების პროცესში პედაგოგებმა ისაუბრეს არსებული მისიის შექმნაში აქტიურ ჩართულობაზე, რის საფუძველზეც შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ისინი მომავალშიც აქტიურად ჩაერთვებიან პროცესში. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ახალი მისიისა და ხედვის სამუშაო ვერსია, რომელიც შეიმუშავა სასკოლო ადმინისტრაციამ და აპირებს განხილვას სასკოლო საზოგადოებასთან. ვინაიდან სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა მისია და ხედვა შემუშავების პროცესშია, პედაგოგებთან ინტერვიუების პროცესში აქცენტი გაკეთდა არსებული მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარებასთან დაკავშირებით რაზეც მასწავლებლებმა ისაუბრეს რომ იზიარებდნენ ასევე მათ აქვთ ინფორმაცია, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილია არსებული მისიის და ხედვის შეცვლა. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი, თუმცა ფუნქციონირებს სკოლის ბლოგი, რომელზეც განთავსებულია ამ ეტაპზე სკოლაში მოქმედი მისია და ხედვა, აღნიშნული საფუძველს იძლევა, რომ ახლა შემუშავებული მისიაც და ხედვაც ხელმისაწვდომი იქნება სასკოლო საზოგადოებისათვის. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“

ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: **სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა**. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული გეგმა
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი,
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება;
- სკოლის ბლოგი: <https://dzegvissajaroskola.blogspot.com/> .

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

□ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლამ ვიზიტის პროცესში ვერ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, თუმცა აღსანიშნავია რომ ექვს წლიან სტრატეგიულ გეგმაში წარმოჩინდა სკოლის ღირებულებები, რომელიც მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას, მაგალითად: სამართლიანობა, მონაწილეობითი მართვა, ურთიერთთანამშრომლობა და პასუხისმგებლობა, ეფექტურობა და უსაფრთხოება. სკოლის დირექციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მომავალ სასწავლო წელს იგეგმება დოკუმენტაციის შემუშავება.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1. 1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.09.2023-1.10.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლამ შექმნას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტაცია.

2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის ექვსწლიანი 2021-2027 ნაცვლად შვიდისა, რომელიც მოიცავს ინსტიტუციურ ღირებულებებს, სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებს, მიზნებს და ამოცანებს, იგი მეტწილად შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და ამოცანებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილია აქტივობები, რომლებიც ამ ეტაპზე არ გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ასევე არ აქვს სკოლას შესაძლებლობა აღნიშნულის განხორციელების (მაგალითად აუზის მოწყობა სკოლაში), შესაბამისად სასურველია სკოლის ადმინისტრაციამ სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით შესაბამისობაში მოიყვანოს აღნიშნული დოკუმენტი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 1.10.2023-1.11.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლამ შეიმუშაოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა თითქმის სრულად ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას, გაწერილია წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. ამ ეტაპზე სკოლამ ვერ წარმოადგინა ყოველწლიური თვითშეფასება, თუმცა სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია პედაგოგიურ საბჭოზე შეფასებული სასწავლო წლის შედეგები. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში გაწერილია წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების ვადები, თუმცა დოკუმენტი არ შეიცავს აქტივობის შესაბამისობას ამოცანებთან მიმართებით და არ არის გაზომვადი, ასევე არ არის გაწერილი რესურსები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1. 4 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 1.11.2023-15.11.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლამ შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული სამოქმედო გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლამ ამ ეტაპისთვის ვერ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, შესაბამისად ვერც მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, ინტერვიუს დროს სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ იგეგმება მეთოდოლოგიის შემუშავება, კერძოდ, მონიტორინგი ჩატარდება რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მშობლების, მოსწავლეების და მასწავლებლების გამოკითხვა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.2.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.09.2023-1.10.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლამ შეიმუშაოს სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ წარმოდგენია შემუშავებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასების დოკუმენტი, თუმცა სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით იგეგმება კონცეფცია რითაც შესაძლებელი იქნება სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება. თუმცა პედაგოგიურ საბჭოზე და კათედრების სხომებზე სკოლის წარმომადგენლები აფასებენ წლის შედეგებს და იმუშავებენ რეკომენდაციებს. სკოლაში მოქმედებს ხარისხის ჯგუფი, რომელიც სწავლების ხარისხის და მასწავლებლების პროფესიული განვითარების ამადლების მიზნით აკვირდება მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესში, თუმცა აღნიშნული ხორციელდება ზეპირი კომენტარების საფუძველზე, რაც სკოლის დირექტორის განცხადებით სამომავლოდ მიიღებს დოკუმენტურ ხასიათს. **აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სკოლა სამომავლოდ გეგმავს სტრატეგიული გეგმებით განხორციელებული შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფას, სკოლას აქვს ბლოგი, რომელზეც განათავსებს შესაბამის ინფორმაციას ასევე განათავსებს სკოლაში საინფორმაციო კუთხეში. ადმინისტრაცია გამოთქვამს მზაობას, რომ შესაბამისი მექანიზმები დეტალურად იქნება გაწერილი ერთიან კონცეფციაში. **აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ვინაიდან სკოლა ახლა გადის პირველად ავტორიზაციას, ვერ მოხერხდებოდა ინდიკატორით გათვალისწინებული მონაცემების დამუშავება, სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრების პროცესში აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში შეიმუშავებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენების კონცეფციას. აღსანიშნავია, რომ პედაგოგიურ საბჭოზე და კათედრების სხდომებზე სკოლის წარმომადგენლები აფასებენ წლის შედეგებს და იმუშავებენ რეკომენდაციებს.

აღნიშნული ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დანიშვნის ბრძანება და შეხვედრის ოქმები;
- კათედრების და სამეურვეო საბჭოს ოქმები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა, სტანდარტის დასაკმაყოფილებლად შემუშავებული დოკუმენტები. რომელშიც წარმოდგენილი იყო სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების შესახებ ინფორმაცია, აღნიშნული დოკუმენტის გაცნობის შემდეგ გამოვლინდა, რომ სკოლას აქვს მზაობა, მიაღწიოს დასახულ მიზნებს, რომელიც წარმოდგენილია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულების/ფუნქციები და მოვალეობების მკაფიოდ წარმოსადგენად სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს დოკუმენტები (პედაგოგიური საბჭოს დებულება, ექიმის დებულება, ბუღალტრის ფუნქცია მოვალეობები, მოადგილის ფუნქცია-მოვალეობები და სხვა), სტრუქტურული ერთეულების დებულებები, აღნიშნული დებულება მხოლოდ წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითმართველობის მიმართულებით, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას შეუძლია მსგავსი სახის დოკუმენტები მოამზადოს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მიმართებითაც. უნდა აღინიშნოს ისიც რომ სკოლაში დასაქმებულ ადამიანებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში აღწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობები, თუმცა აღნიშნული პუნქტები შედარებით ზოგადია და საჭიროებს დეტალიზებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ სკოლა მოქმედებს ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, რომელიც არეგულირებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული პირთა საქმიანობას, სასურველია რომ საჭირო ზოგადი საკანონმდებლო ნორმები დეტალიზდეს სკოლის დონეზე და სკოლამ განსაზღვროს საკუთარი კადრების უფლება-მოვალეობები. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელმაც სამომავლოდ უნდა უზრუნველყოს საგნობრივ ჯგუფებს შორის მაღალი ურთიერთთანამშრომლობა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.09.2023-1.10.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - [შკოლის დონეზე გაიწეროს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია-მოვალეობები.](#)

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. თანამშრომლების საქმიანობის ფუნქციები შრომითი ხელშეკრულების ნაწილია, ნაწილობრივ განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - სასურველია ფუნქცია მოვალეობები კანონმდებლობიდან გამომდინარე დარეგულირდეს სკოლის შიდა დოკუმენტაციითაც და არ ატარებდეს მხოლოდ ზეპირ ხასიათს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა;
- სკოლაში მოქმედი თვითმართვებულობის დებულება და ოქმები;
- სკოლაში მოქმედი ხარისხის გაუმჯობესებისა და მხარდამჭერი ერთეულის შექმნის ოქმი;
- სკოლის სტრუქტურის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილს
- დასაქმებული პირების ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

სკოლა ეყრდნობა საქართველოს კანონს ზოგადი განათლების შესახებ და სხვა მოქმედ საკანონმდებლო დოკუმენტებს, რომლის მიხედვითაც ახორციელებს საქმიანობას. სკოლამ წარმოადგინა, პედაგოგებთან და მომსახურე პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები, რომელშიც ნაწილობრივ გაწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობები. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს შრომით პირობებს. აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით **ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა:**

შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ცდილობს დაადგინოს სკოლის საჭიროება და მოახდინოს მათზე რეაგირება. სკოლაში ვიზიტის პროცესში გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაცია პედაგოგებთან ატარებს გამოკითხვას და გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას იყენებს საჭიროების გამოსავლენად და შემდეგში ამ საჭიროებებზე

დაყრდნობით ცდილობს პრევენციული და ინტერვენციული ნაბიჯები გადადგას. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მმართველის დოკუმენტი, მიუხედავად ამისა დოკუმენტში მკაფიოდ არ არის წარმოდგენილი რა მეთოდოლოგიას იყენებს კადრის შერჩევისას შესაბამისობის დასადგენად, არ აქვს შემუშავებული პერსონალის შეფასების მექანიზმი, ასევე სკოლას მომზადებული არ აქვს მეთოდოლოგია, რომელსაც გამოიყენებს პერსონალის კმაყოფილების კვლევისათვის.

სკოლაში ვიზიტის დროს, ინტერვიუების პროცესში და სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს შემუშავებული სტრუქტურული ერთეული, რომელიც განიხილავს დისციპლინარულ გადაცდომებს. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს შემუშავებული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის წესი, რაც გამოიხატება პერსონალის მიერ გაწეული სამუშაოს ამსახველი დოკუმენტების გაცნობისა და საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთანამშრომლობის დაკვირვების მექანიზმის არსებობით, თუმცა სკოლას არ აქვს შემუშავებული ფორმა, რომლითაც ხდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება და მიგნებების გაზიარება. სკოლას ვიზიტის დროს არ ქონდა მომზადებული დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა თუ როგორ არის გადანაწილებული უფლებამოსილებანი ადმინისტრაციასა და სკოლის პერსონალს შორის და რა სტრატეგიას იყენებს სკოლა პასუხისმგებლიანი და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული პროცესების წარმართვისთვის. სკოლამ გამოთქვა მზაობა, რაც დადასტურდა სკოლაში ვიზიტის დროს, რომ აღნიშნული მიმართულებით შემუშავდება მეთოდოლოგიური საყრდენი, რაც მათ დაეხმარება შესაბამისი მიმართულებით უფრო მეტად აქცენტირდნენ, გაამახვილონ ყურადღება, აღნიშნული მიმართულებით. პირველ ეტაპზე შესაძლოა, მომზადდეს კითხვარი, რომლის მიხედვითაც მოხდება საჭიროებების კვლევა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ სკოლის მიერ მომზადებულ დოკუმენტში წარმოდგენილია მიზნები და ამოცანები, თუმცა არ გვხვდება აქტივობები, რომელსაც სკოლა განახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით. აღნიშნული ნაწილი ერთწლიან სამოქმედო გეგმაშია წარმოდგენილი, თუმცა აღნიშნულ გეგმაშიც ეს მიმართულებები ზოგადი ხასიათისაა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.2 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.09.2023-1.10.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლამ შეიმუშაოს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

სკოლა მოქმედებს საქართველოს საკანონმდებლო დოკუმენტებზე დაყრდნობით. სკოლა ახალი კადრების შერჩევისას იცავს და უზრუნველყოფს თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპს, თუმცა კადრების შერჩევის პროცედურები სკოლის დონეზე არ არის გაწერილი (გარდა სპეციალური მასწავლებლისა). სკოლაში თანამშრომლების მიღების წესი რეგულირდება კანონმდებლობით, რომლის საფუძველზეც სკოლა საჯაროდ აცხადებს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს.

პედაგოგებთან დადებული ხელშეკრულებების უდიდესი ნაწილი გაფორმებულია 2020 წლამდე შესაბამისად არ მოიცავს 1746 ბრძანების 11¹ მუხლის შესაბამის ინფორმაციას, კერძოდ: . სკოლაში დასაქმების შემთხვევაში მასწავლებელთან შესაძლებელია გაფორმდეს შესაბამისი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულება (უფროსი, წამყვანი, მენტორი მასწავლებლის); .სპეციალურ მასწავლებელთან შესაძლებელია გაფორმდეს შესაბამისი კატეგორიის შრომითი (პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი მასწავლებლის). ასევე მნიშვნელოვანია გადაიხედოს დასაქმებული პირების პირადი საქმეები, რომლების დიდ ნაწილშიც არ გვხვდება ნასამართლეობის ცნობა, ცნობა ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ, ფორმა ასი და 2020 წლიდან დასაქმებული პირებისთვის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა. სკოლამ აღნიშნული მიმართულებით გამოთქვა მზაობა, რომ განაგრძობს მუშაობას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით, გეგმაში გაწერილია რამდენიმე ეტაპი ინდიკატორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და მითითებულია 15.09.2023-1.10.2023 პერიოდი. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლის დონეზე შემუშავდეს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და დასაქმებულების მხრიდან უზრუნველყოს კანონმდებლობით მოთხოვნილი დოკუმენტების სკოლაში წარდგენა.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; სკოლაში დასაქმებული მასწავლებლობისა და მომსახურე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას დასაქმებული ჰყავს 26

მასწავლებელი, რომელთაგან ერთი მენტორი, 24 უფროსი და ერთი მოწვეული მასწავლებელია. **აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;** პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა უმეტესწილად ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში ვიზიტის, დროს გამოვლინდა რომ სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებელთა გარკვეულ ჯგუფს შორის სრულად არ არის თანამშრომლობითი ატმოსფერო, რომელიც აისახება ორგანიზაციულ და მონაწილეობით კულტურაზე, აღნიშნული მიმართულებით საჭიროა უფრო მეტად გამახვილდეს ყურადღება და სკოლა აქცენტირდეს პერსონალისა და მასწავლებლების საჭიროებებზე და შეძლოს აღნიშნული მიმართულებით გაიზარდოს თანამშრომლობითი კულტურა. **აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - მნიშვნელოვანია სკოლაში შემუშავდეს ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც დაარეგულირებს სასკოლო სივრცეში ორგანიზაციულ საკითხებს. მაგ : გამოიკითხოს სასკოლო საზოგადოება და გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იყოს ორგანიზაციული და მონაწილეობით კულტურის ასამაღლებლად. მაგ : წახალისების ფორმების დადგენა, რომელიც მოტივაციის გაზრდის სკოლის როგორც ინსტიტუციის მმართველობით სტრუქტურაში უფრო მეტად ჩაერთოს სკოლაში დასაქმებული პირები.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.** სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ აქტიურად ხდება აღნიშნული მიმართულებით მუშაობა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო სივრცეში მიღწეული შედეგები კათედრებს შორის მეტწილად გაზიარებულია, რაც დასტურდება ოქმებით. მნიშვნელოვანია, ისიც, რომ არაფორმალური განათლების მ მიმართულებით სკოლას ჰქონდა 2022-2023 წელს გაფორმებული მემორანდუმი, პროფესიულ კოლეჯთან, რაც ეფუძნებოდა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას და მზაობას. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები;
- ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლაში შექმნილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია მართვის პოლიტიკის მიზნები და ამოცანები, სკოლა ასევე აღნიშნული კრიტერიუმის განსახორციელებლად იყენებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას, რომელშიც წარმოდგენილია აქტივობები, რაც ხელს უწყობს პერსონალის შეფასებასა და განვითარებას. სკოლაში ვიზიტის პროცესში ინტერვიუების შემდეგ გამოიკვეთა, რომ საგნობრივი ჯგუფის წარმომადგენლები აქტიურად მიმართავენ გაკვეთილზე ურთიერთდასწრების მექანიზმს და ერთმანეთს უზიარებენ გაკვეთილის პროცესში წარმოჩენილ მიგნებებს. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - სასურველია სკოლა უფრო მეტად უნდა აქცენტირდეს პროფესიული განვითარების საჭიროებების მიმართულებით, საჭიროა მომზადდეს კონკრეტული რუბრიკები, შესაძლებელია შემუშავების საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ჩარჩო, აღნიშნული მასწავლებლებს დაეხმარება ურთიერთთანამშრომლობასა და ურთიერთ შეფასებაში.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

პერსონალის განვითარების მხრივ სკოლას გარკვეული სამუშაო უკვე შესრულებული აქვს, რაც ასახულია სკოლის დოკუმენტებში, რომელშიც წარმოდგენილია სტრატეგიული განვითარების და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. აღნიშნული მიმართულებით პროცესი დაწყებულია, თუმცა არ არის გამოკვეთილი მეთოდოლოგიური ორიენტირი, რომელიც სკოლას, როგორც ინსტიტუციას დაეხმარება სწორი აქცენტების გაკეთებასა და სრულყოფილ ანალიზში, თუ რა საჭიროება გააჩნია სკოლაში დასაქმებულ პერსონალს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მითითებულია, რომ სკოლა საკუთარი კადრების საჭიროებების შესწავლისას იყენებს, “swot” ანალიზის ფორმას, თუმცა აღნიშნული ფორმა დოკუმენტების შესწავლის პროცესში არ იყო წარმოდგენილი, რაზეც სკოლამ გამოთქვა მზაობა მომზადდეს და სასკოლო საზოგადოებას წარედგინოს მსგავსი ტიპის დოკუმენტები. სკოლამ განმარტა, რომ

სტრატეგიული განვითარებაში წარმოდგენილი მიზნები და ამ მიზნების მისაღწევი ამოცანების დადგენა მოხდა ზეპირი მოსმენის შედეგად, რაც აისახა სამოქმედო გეგმაში, რომელიც წარმოადგენს ამოცანების შესრულებისათვის საჭირო აქტივობების განხორციელებას. მაგ : კადრების მონიტორინგი და საჭირო ცვლილებების განხორციელება, მასწავლებელთა შორის გამოცდილების გაზიარება და კორდინირებული მუშაობა. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

მასწავლებელთა კარიერული წინსვლისთვის სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტები, რომელშიც წარმოდგენილია თუ როგორ ხედავს სკოლა მასში შემავალი კადრების პროფესიული და კარიერული წინსვლისთვის ხელშეწყობის მექანიზმს. სკოლას აქვს შექმნილი მხარდაჭერის და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი გუნდი, რომლის ფუნქციას წარმოადგენს პედაგოგების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. სკოლას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, რისთვისაც სკოლას გაწერილი აქვს ამოცანები : სასკოლო ბაზაზე პედაგოგთა უწყვეტი განვითარების სისტემის შექმნა, მასწავლებელთა შეფასების რეიტინგული-დარგობრივი სისტემის შემუშავება და მეთოდური-პროფესიული ლიტერატურის მუდმივი განახლება-შეძენა, აღნიშნული ამოცანების მისაღწევად სკოლას შემუშავებული აქვს ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც თანხვედრაში მოდის სტრატეგიულ გეგმასთან, მაგ : სკოლის პერსონალის, მასწავლებლების პროფესიული განვითარების მიზნით აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სასურველია პროცესების მეტი დეტალიზება და კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა მაგ : სემინარებისა და ტრენინგ კურსების დაგეგმვა და განხორციელება.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

დოკუმენტების გაცნობისა და სკოლაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, მზაობა რომ სკოლა გააძლიერებს მუშაობას ახალი თანამშრომლების სასკოლო საზოგადოებაში ინტეგრაციის მიმართულებით. აღნიშნული მიმართულებით სკოლას აქვს გადადგმული გარკვეული ნაბიჯები, რაც გამოხატული იყო ინტერვიუების დროს, რომელიც ჩატარდა სკოლაში ახლად დასაქმებულ კადრებთან. აღნიშნული მიმართულება სკოლაში გაცხადებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები;

სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებში წარმოდგენილია, თუ რა პროცესები მიმდინარეობს და რა არის დაგეგმილი იმისათვის, რომ სკოლის დონეზე წახალისებული და გაზიარებული იყოს პერსონალის ინიციატივები. აღნიშნული მიმართულებით სკოლამ გამოთქვა მზაობა, შექმნას ინსტრუმენტი, რომელიც პერსონალს საშუალებას მისცემს უფრო მეტად ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებასა და საქმიანობაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტში წარმოდგენილია მიმართულება, სკოლის მართვის დემოკრატიული განვითარების შესახებ, რომლის მისაღწევადც ადმინისტრაცია გეგმავს უფრო მეტად დელეგირებული იყოს უფლებამოსილებები, რისთვისაც სკოლა გეგმავს შექმნას, სკოლის განახლების საკონსულტაციო საბჭო. მნიშვნელოვანია, იმის აღნიშვნაც, რომ სკოლას აქვს შექმნილი მხარდაჭერის და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი გუნდი, რომელმაც შესაძლებელია აღნიშნული მიმართულებით დიდი დახმარება გაუწიოს სკოლას. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - სკოლაში განახლების საკონსულტაციო საბჭოს ფუნქციონირებისათვის სასურველია კათედრები თანაბრად იყოს წარმოდგენილი ჯგუფში, რომელთა ფუნქციონირებისთვისაც საჭიროა შეიქმნას დებულება, სადაც გაწერილი იქნება რა ფუნქცია-მოვალეობები გააჩნია ჯგუფის წევრებს, რომლის ერთ-ერთ მთავარ პუნქტად შესაძლებელია მოიაზრებოდეს კათედრების მხრიდან ინიციატივების ადმინისტრაციის დონეზე განხილვა და წარმოდგენა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსი მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული გეგმა;
- მაღლობის სიგელი;
- პრემიის შესახებ ბრძანება;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექან/
5. იზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

სკოლა აქტიურად შეისწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებებს, აღნიშნული მიმართულებით სკოლა პროცესის განმავლობაში შეაჯამებს, გამოიკვლევს და განახორციელებს მონიტორინგს, რის შემდეგაც სკოლა შეიმუშავებს ახალ სამოქმედო გეგმას და შეეცდება სტრატეგიული გეგმის შესაბამისად იმოქმედოს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლას შემუშავებული და გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმა, წლის ბოლოს სკოლა გაანალიზებს მიღებულ შედეგებს და დაისახავს სამომავლო ამოცანებს. მაგ : სამოქმედო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს, რომ საწყის ეტაპზე შეიმუშავებს სასკოლო კურიკულუმების გეგმას. უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ პედაგოგები ამზადებენ წლიურ ანგარიშებს, რომელშიც განიხილავენ მიღწეულ შედეგებსა და ადგენენ სამომავლო გამოწვევებს. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლაში ფუნქციონირებს მხარდაჭერის და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი გუნდი, რომელიც სამომავლოდ მოამზადებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ დასკვნებს, რის საფუძველზე სკოლას აქვს მზაობა გამოკვეთოს და იდენტიფიცირება მოახდინოს დაწესებულებაში არსებული გამოწვევების . უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლას სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქვს პრობლემის იდენტიფიცირების მიმართულება, რომელიც ძირითადად ეფუძნება კათედრებზე მუშაობასა და ურთიერთდასწრების მექანიზმს, ამავდროულად სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტები, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლას დაწყებული აქვს აღნიშნულ დოკუმენტაციაზე მუშაობა. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლაში დისციპლინარული გადაცდენის საკითხები განიხილება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. სკოლაში დისციპლინარული კომიტეტის ფუნქციას ითავსებს სამეურვეო საბჭო, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ სააპელაციო კომიტეტი სკოლაში არ არის შექმნილი, მაგრამ გამოითქვა მზაობა, რომ აღნიშნული მიმართულებით სკოლა ქმედით ნაბიჯებს

გადადგამს. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა დისციპლინარული გადაცდენების განხილვისას ეყრდნობა კანონმდებლობას და გასაჩივრების დეტალური პროცედურები კანონმდებლობასთან თავსებადია. ამ ეტაპზე სკოლა აღნიშნულ მიმართულებას შინაგანაწესით არეგულირებს. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - სამომავლოდ სასურველია, კანონმდებლობის შესაბამისად სკოლამ ცალკე დოკუმენტად გაწეროს დისციპლინარული გადაცდომის შედეგად გამოვლენილი პირის მიერ გასაჩივრების პროცედურები.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებებს სკოლა არეგულირებს შინაგანაწესით, რომელიც თანხვედრაშია კანონმდებლობასთან, პერსონალს საკუთარი უფლებები და მოვალეობები განმარტებული აქვს შრომით ხელშეკრულებაში, რომელთა დაცვაც სავალდებულოა, როგორც დამსაქმებელი ასევე დასაქმებულის მიერ. შრომით ხელშეკრულებაში ასევე განმარტებულია მხარეების მიერ აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობას რა პროცედურები მოჰყვება (სიტყვიერი გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური ...). **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები;
- კათედრის ოქმები;
- დისციპლინარული კომიტეტის ოქმი ;
- ერთ წლიანი სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმა.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლას საკუთარი საქმიანობის პროცესში ურთიერთობს სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ეხება სასკოლო საზოგადოების საჭიროებების დადგენას, მასთან თანამშრომლობასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. სამოქმედო გეგმის მიხედვით სკოლას დაგეგმილი აქვს მოაწყოს შეხვედრა მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან მათი ინტერესების დასადგენად, თუმცა აღნიშნული მიმართულებით შესაძლებელია სკოლამ შეიმუშაოს შესაბამისი ინსტრუმენტი, რომელიც დაეხმარება უფრო მეტი სიხშირით მოახერხოს სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა, მაგ : კითხვარების შემუშავება და სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობა, რაზეც შესაბამისი უკუკავშირი გაიცემა. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ სკოლას აქვს სოციალური გვერდი, რომელზეც პერიოდულად იდება სასკოლო სივრცეში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია, რაც ერთ-ერთი უკუკავშირის ფორმად შეიძლება აღვიქვათ. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომლებიც კანონის შესაბამისად იკრიბება და თანამშრომლობს ადმინისტრაციასთან, რაც დასტურდება კათედრის ოქმებით. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - სასურველია, რომ მეტი სიცხადისათვის სკოლამ მოამზადოს დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი მექანიზმები, რომელიც გამოყენებული იქნება სკოლის საქმიანობაში სასკოლო საზოგადოების კიდევ უფრო მეტად ჩართულობის გასაზრდელად. შესაძლებელია აღნიშნული მექანიზმები, პუნქტებად გაიწეროს სკოლის შინაგანაწესშიც.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიალური ორგანოები, რომლებიც ხელს უწყობენ სკოლის ფუნქციონირებას. სკოლის სტრუქტურა შედგება : მოსწავლეთა თვითმართველობის, პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოსგან. ამ უკანასკნელს სკოლაში შეთავსებული აქვს დისციპლინარული და სააპელაციო კოლეგიების ფუნქციები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ სკოლას არსებულ ექვსწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილი აქვს, რომ უფრო მეტი დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობისთვის აპირებს შექმნას სკოლის განახლების საკონსულტაციო საბჭო, რაც სამომავლოდ კიდევ უფრო უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმები ;
- თვითმართველობის ოქმები;
- სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა'
- სოციალური გვერდი მისამართი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

□ არ შესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლის შენობა-ნაგებობა დაცულია კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმა და სახანძრო უსაფრთხოების მიწერილობა. თუმცა დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობის უსაფრთხოებისა და მდგრადობის დასკვნა, ექსპერტების ვიზიტის დროს სკოლამ აღნიშნულთან დაკავშირებით წერილი მისწერა შესაბამის ორგანოს. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა საქართველოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის მიხედვითაც შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ექსპლუატაციისათვის ვარგისია.** სკოლას გააჩნია სათვალთვალო ვიდეო-კამერები, რომლებიც კონტროლდება მანდატურის სამსახურის მიერ.

სკოლას აქვს ექიმის კაბინეტი, რომელიც შევსებულია პირველადი დახმარების მომსახურებისათვის საჭირო ინვენტარითა და წამლებით. სკოლას აქვს შემუშავებული საევაკუაციო გეგმა, რომელიც განთავსებულია სართულებზე, სკოლას აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, დაწესებულებას გააჩნია რამდენიმე გასასვლელი, რომელიც შესაბამისად შეიძლება იყოს გამოყენებული ექსტრემალური სიტუაციების მართვის პროცესში. აღსანიშნავია, რომ სკოლის ექიმის პოზიციაზე დასაქმებულ პირს არ აქვს №41/6/01-23/6 ბრძანების შესაბამისი კვალიფიკაცია, მას აქვს სტომატოლოგის კვალიფიკაცია, ნაცვლად პედიატრის ან საოჯახო მედიცინის ან ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრის.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 1.06.2023-1.03.2024წწ. **შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

რრეკომენდაცია - [შკოლამ](#) ექიმის პოზიციაზე დაასაქმოს №41/6/01-23/6 ბრძანებით შესაბამისი კვალიფიკაციის პირი.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და დასაქმებულ პერსონალზე შესაბამისი უფლების გადაცემით. მაგ : სკოლის დაცვა, რომელიც აწარმოებს ჟურნალს სკოლაში სტუმრებისა და სტუმართა შესახებ. სკოლაში მოქმედებს მანდატურის სამსახური, რომელიც ახორციელებს პერიმეტრის დაცვასა და მონიტორინგს სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს უფლებამოსილებებს, რომლებიც აკისრია პერსონალს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიმართულებით. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლა მის ხელთ არსებული შესაძლებლობების შესაბამისად ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას, სკოლა აღნიშნული მიმართულებით აქტიურად თანამშრომლობს სსიპ -საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან, რომელთა თანამშრომლობითაც სკოლა ცდილობს პრევენციული ზომების მიღებას. სკოლაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მართვას საინფორმაციო შეხვედრებს, რაც ხელს უწყობს სასკოლო სივრცეში ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ზრდას. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭოც, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით შეიმუშავებს ქმედით ნაბიჯებს და მონიტორინგს უწევს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმებს. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;** სკოლაში ვიზიტის დროს, გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში განთავსებული წყლის დისპენსერები. სკოლას აქვს მოწესრიგებული სველი წერტილები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. სველი წერტილები გამიჯნულია ერთმანეთისგან. სკოლას აქვს შეძენილი სანიტარული-ჰიგიენური საშუალებები და ახორციელებს მის მიზნობრივ და რაციონალურ გამოყენებას. მნიშვნელოვანი ითქვას ისიც, რომ სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილი აქვს, რომ ეტაპობრივად განაახლებს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რაც თავის მხრივ მოიცავს სანიტარული-ჰიგიენური კვანძების განახლებასაც. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით განხორციელებული პროცედურების ან /და მექანიზმების სრული სახის სკოლამ ვერ წარმოდგინა. პერსონალური მონაცემების დაცვის ნაწილი (ტერიტორიაზე უსაფრთხო გადაადგილება, მესამე პირის გაუთვალისწინებლად სკოლის ტერიტორიაზე ვერ მოხვედრის შემთხვევაში სანქციები) გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, ინტერვიუს შედეგად დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინფორმაციას არ გასცემენ მესამე პირებზე. თუმცა პირადი ხასიათის ინფორმაციის დაცვის მექანიზმებს(მაგალითად: მოსწავლის ზოგადი ან სასკოლო საქმიანობის, მოსწავლის/დასაქმებული პირის ფოტო, ვიდეო ჩანაწერის და სხვა ინფორმაციის შესახებ ფოტომასალის გამოქვეყნების შესახებ) დოკუმენტი არ მოიცავს.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.5 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.09.2023-15.10.2024წწ. **შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

რეკომენდაცია - სკოლამ გაწეროს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის უცხო პირებისათვის. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა -სასურველია გაიწეროს კანონმდებლობის შესაბამისად პირადი ინფორმაციის დამუშავებისა და გამოყენების მექანიზმები, რომელიც ასახული იქნება პერსონალის მართვისა და მხარდამჭერის დოკუმენტში. ასევე მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პუნქტები ასახული უნა იყოს დასაქმებულთა ხელშეკრულებებსა და მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში.

7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეისწავლის სასკოლო სივრცეში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებას, რის შემდეგაც სკოლის ადმინისტრაციის უზიარებს შესაბამის მიგნებებს და აძლევს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებას სკოლას, როგორც ინსტიტუციას აძლევს შესაძლებლობას უზრუნველყოს აღნიშნული პროცესები. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, საევაკუაციო გეგმა,
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი,
- სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისი რესურსები,
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი და მასთან დაკავშირებული რესურსები,
- ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფისთვის საჭირო რესურსები,
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისთვის საჭირო რესურსები .

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

□ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტიგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

წარმოდგენილი ამონაწერის (2020 წ) მიხედვით სკოლა მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის „სოფელ ძეგვში მიწის ნაკვეთი 17814. კვ.მ ფართის მასზე განლაგებულია შენობა-ნაგებობებით: შენობა N1-1300.43 კვ.მ, N 27კვ/მ.

სკოლას გააჩნია შესაბამისი მატერიალური ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობას, ვიზიტის პროცესში სკოლამ წერილით მიმართა საჯარო რეესტრს. მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე სკოლა მუშაობს ორ ცვლაში, რაც ხელს უწყობს სკოლის მიერ რესურსების რაციონალურად გამოყენებას. სკოლას გააჩნია შესაბამისი ორ სართულიანი შენობა, რომელშიც განთავსებულია პირველ სართულზე: 2 საკლასო ოთახი, სველი წერტილი გოგონებისთვის (3 განყოფილებიანი, დაწყებითი კლასების გოგონებისთვის ერთ ადგილიანი და სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე გოგონასთვის ერთ ადგილიანი), სველი წერტილი ბიჭებისთვის (3 განყოფილებიანი, დაწყებითი კლასების ბიჭებისთვის ერთ ადგილიანი და სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე ბიჭისთვის ერთ ადგილიანი), სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი; მეორე სართულზე განთავსებულია: 7 კლასი, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ისტის კაბინეტი. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის გეგმა. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლას გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები, რომელიც საერთო სარგებლობაშია. მაგ : ბიბლიოთეკა, რომლის სარგებლობის წესი სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებული შესაბამისი წიგნის ფონდი, რომელიც საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად არის დამუშავებული.

სკოლას გააჩნია შესაბამისი ტექნიკა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას. სკოლამ განსაზღვრა უფლებამოსილი პირი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის ტექნიკის უსაფრთხოებასა და ხელმისაწვდომობაზე. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის პედაგოგები აქტიურად იყენებენ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - სასურველია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი უფრო მეტად დაზუსტდეს, მაგალითად გაიწეროს წიგნების დამუშავების სპეციფიკა, წიგნის გატანის და დაბრუნების პროცედურები და ა.შ.

3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სკოლას ჰყავს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეები რომელთა ინტერესებისა და მზაობის შესაბამისად, სასკოლო სივრცეში წარმოდგენილია რესურს ოთახი, რაც ხელს უწყობს სკოლის ინკლუზიურობას. სკოლას გააჩნია მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული და ადაპტირებული სველი წერტილები, თუმცა სკოლას ამ ეტაპზე შენობის მეორე სართულზე არ აქვს მოწყობილი პანდუსები (მეორე სართულზეა განთავსებული ბიბლიოთეკა, კომპიუტერის კაბინეტი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია). დაწესებულებამ განმარტა, რომ მსგავსი საჭიროების მქონე მოსწავლეები ამ ეტაპზე არ ჰყავს, მაგრამ გამოთქვა მზაობა აღნიშნული მიმართულებით მოწესრიგდეს და განახლდეს ინფრასტრუქტურა.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.3 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.09.2023-15.09.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლა უზრუნველყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა ინკლუზიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

სასკოლო სივრცეში არსებული რესურსები და ინფრასტრუქტურა თანხვედრაში მოდის სკოლის მიზნებთან და ამოცანებთან. სკოლას მემორანდუმები ჰქონდა გაფორმებული პროფესიულ სასწავლებელთან და აღნიშნული მიმართულებით ორიენტაციას აძლევდა მოსწავლეებს. მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ სკოლა აქცენტს არამხოლოდ ზოგად განათლებაზე არამედ პროფესიულ განათლებაზეც აკეთებს, რაც ინსტიტუციას წარმოადგენს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს, რომელიც დახმარებას უწევს მოსწავლეებს შესაძლებლობების მიხედვით დაგეგმონ მომავალი. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სკოლამ წარმოადგინა სასწავლო კურკულუმების ჩარჩო დოკუმენტები, რომელიც განაპირობებს მომავალი წლის სკოლის მუშაობას საგნობრივი მიმართულებით, საგნობრივი კურკულუმების ჩარჩო დოკუმენტებში რესურსის სახით წარმოდგენილი გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომლებიც სკოლას გადაცემული აქვს და მისი გამოყენება შესაძლებელია. სასურველია საგნობრივმა კათედრებმა შექმნან დოკუმენტი, რომელშიც აღნუსხული იქნება დამატებითი რესურსების ჩამონათვალი, რომელიც მათ შემდეგი სასწავლო წლის განმავლობაში დასჭირდებათ. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფინასური ანგარიშების დოკუმენტაცია;
- შენობის გეგმა;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგები და ჟურნალები;
- საგნობრივი ჯგუფების მიერ კურკულუმის ჩარჩოს მიხედვით გათვალისწინებული დოკუმენტი;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლას გააჩნია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას აქვს კომპიუტერები 55 ერთეული, პრეოქტორი 5 ერთეული, მაგნიტოფონი 3 ერთეული, სინთეზატორი 1 ერთეული. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით და შიდა ქსელით. სკოლა აქტიურად იყენებს აღნიშნულ ტექნიკას სასკოლო პროცესის წარმართვის პროცესში. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, სკოლას ჰყავს პერსონალი რომელიც პასუხისმგებლობას იღებს აღნიშნული ტექნიკის გამოყენებაზე. სკოლას აქვს შემუშავებული წესები, რომელიც დაცული უნდა იყოს სკოლის მატერიალური და ტექნიკური რესურსების გამოყენების პროცესში, აღნიშნული წესები წარმოდგენილია კედლის რესურსის სახით. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - სასურველია მეტი სიცხადისთვის ცალკე დოკუმენტად გაიწეროს მოხმარების წესები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საინვენტარო აღრიცხვის ჟურნალი;
- რესურსებით სარგებლობის წესი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას არ აქვს შემუშავებული საქმისწარმოების წესი, სკოლის დირექტორის განცხადებით სკოლაში საქმისწარმოება ეყრდნობა საქართველოს კანონს საქმისწარმოების შესახებ. სკოლას აქვს წარმოების ჟურნალები როგორიცაა : საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, შრომითი ურთიერთობების წარმოების ჟურნალი, ცნობების გაცემის ჟურნალი და მოსწავლეთა მოძრაობის წარმოების ჟურნალი, თუმცა აღნიშნული საქმისწარმოება არ არის თანმიმდევრული (დანომვრა, აკინძვა, ბეჭდით დადასტურება). სკოლამ გამოთქვა მზაობა აღნიშნული მიმართულებით გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება საქართველოში მოქმედ საქმის წარმოების კანონთან. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს ისიც, რომ სასურველია სკოლამ შეიმუშაოს საქმისწარმოების განხორციელების დებულება, რომელიც კიდევ უფრო მეტად გაამარტივებს საქმისწარმოების პროცესებს. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.3 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.09.2023-15.10.2023წწ. **შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

რეკომენდაცია - სკოლამ შემუშავოს საქმისწარმოების წესი.

2.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, ვიზიტის დროს გავეცანით ელექტრონულ საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის სისტემას, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მატერიალური დოკუმენტების, ბრძანებების და განცხადებების ნომრების დადარება მოხდა ელექტრონულ პლათფორმაზე განთავსებულ დოკუმენტებთან, რაც სრულ თანხვედრაში იყო ერთმანეთთან. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რაც დასტურდება კანონის შესაბამისად მიწოდებულ ინფორმაციის მართებულობით, რომელიც წარმოდგენილია ზოგადი განათლების

მართვის საინფორმაციო სისტემაში მოძიებული და განთავსებული ინფორმაციით. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა საქმისწარმოების წესის განხორციელებისას ეყრდნობა საქართველოს შესაბამის კანონებს რომელიც არეგულირებს დოკუმენტრუნვის საკითხებს, გამომდინარე აქედან სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმირებულია მარეგულირებელი უწყებები კანონის განსაზღვრულ ვადებში, რაზეც პასუხისმგებლობას იღებს სკოლის ადმინისტრაცია და სკოლაში აღნიშნული მიმართულებით დასაქმებული თანამშრომლები, თუმცა უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ ზემდგომი უწყებიდან სკოლას აქვს მიღებული გაფრთხილება, რაც დაადასტურა ინტერვიუს დროს სკოლის ადმინისტრაციამ. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულები

- საქმისწარმოების ჟურნალები;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- ელექტრონულ პლათფორმაზე გამოქვეყნებული დოკუმენტები;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**

სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია ვებ -გვერდი, თუმცა აღნიშნული მიმართულებით სკოლამ ოფიციალურად მიმართა განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს ვებ -გვერდის მომზადებას. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 12.08.2023- 20.11.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ადმინისტრირება და მასზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი, თუმცა გარემოებებიდან გამომდინარე სკოლა პერიოდულად აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას, სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს ბლოგი და გვერდი სოციალურ ქსელში, სოციალურ ქსელი სკოლას უფრო მეტად არის გამოყენებული სადაც დევს ინფორმაცია სასკოლო სივრცეში მიმდინარე პროცესების შესახებ. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - სკოლის ბლოგს საჭიროებს განახლებას და ახალი ინფორმაციის დამატებას, რაც კიდევ უფრო მეტად თვალსაჩინოს გახდის სკოლის, როგორც ინსტიტუციის ფუნქციონირებასა

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლა აქტიურად იყენებს საკომუნიკაციოდ სოციალურ გვერდსა და ბლოგს, ასევე საკომუნიკაციო არხებად სკოლა მოიაზრებს მშობლებთან მიმოწერას, რასაც ძირითად შემთხვევაში დამრიგებლები უზრუნველყოფენ. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - სასურველია სკოლამ შექმნას ელექტრონული კითხვარები, რომლის გამოყენებითაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფრო დეტალურ უკუკავშირს მიიღებს, რომლის დამუშავების შემდეგაც მოახერხებს უფრო მეტად შეძლოს უზრუნველყოს და დააკმაყოფილოს სასკოლო სივრცეში წარმოდგენილი ინტერესთა ჯგუფების ინტერესები.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებ-გვერდი, აღნიშნული მიმართულებით სკოლამ მიმართა განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრს. სკოლა იყენებს სოციალურ გვერდსა და ბლოგზე, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია სახელმწიფო ენაზე. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 12.08.2023- 20.11.2023წწ. **შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ადმინისტრირება და მასზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ამ ეტაპზე სკოლის შესახებ ინფორმაცია, მისი როგორც ინსტიტუციის სამომავლო სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმები ნაკლებად არის ხელმისაწვდომი ინტერნეტ სივრცეში, თუმცა სკოლამ გამოთქვა მზაობა ვებ-გვერდის შექმნამდე აღნიშნული დოკუმენტაცია განათავსოს სკოლის ბლოგზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 12.08.2023- 20.11.2023წწ. **შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ადმინისტრირება და მასზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- ინტერნეტ ბლოგის მისამართი და სოციალური ქსელში შესაბამის გვერდი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლა ფინანსური რესურსებს განკარგავს საჭიროებისამებრ, რაც ასახულია სკოლის ბიუჯეტში, რომელსაც ამტკიცებს სამეურვეო საბჭო დირექტორის წარდგინებით. სკოლა ახორციელებს შესყიდვებს და აწარმოებს ფინანსური ანგარიშსწორების დამადასტურებელ დოკუმენტებს. სკოლა ამ ეტაპზე მოქმედებს წინა წლის ბიუჯეტის შესაბამისად. შემდეგი წლის ბიუჯეტი ამ

ეტაპზე სკოლას არ აქვს გაწერილი, რაც განიმარტა ადმინისტრაციასთან ინტერვიუების პროცესში რომ კანონმდებლობის მიხედვით მათ აქვთ გონივრული პერიოდი, რომელ პერიოდსაც გამოიყენებენ საჭიროების შესწავლისთვის და ახალი ბიუჯეტის შემუშავებისათვის. სკოლამ წარმოადგინა ფინანსური ანგარიშსწორების დოკუმენტაცია, შესყიდული ინვენტარის სია. ასევე სკოლამ წარმოადგინა წინა წლისა და მიმდინარე წლის დანახარჯების დოკუმენტი მაგ : ბიბლიოთეკის განახლებისთვის წელს დაიხარჯა 100 ლარი, ხოლო წინა წელს 325 ლარი. სკოლა აწარმოებს კომუნალური გადასახადების ხარჯთარიცხვას, რაც დასტურდება გადახდილი ქვითრების წარმოდგენით. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლას ფინანსური რესურსების მართვის, განკარგვისა და მონიტორინგისთვის აწარმოებს შესყიდვებისა და ფინანსური ანგარიშსწორების დოკუმენტაციას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლაში ვიზიტის დროს განხორციელდა შესყიდვის დოკუმენტების ნახვა, მაგ : სპორტის ინვენტარი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ შემდეგი წლის ბიუჯეტის შემუშავების შესახებ განმარტა, რომ მომავალი წლის შესყიდვები განხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მონაწილეობით, საჭიროა სკოლაში წარმოდგენილი სტრუქტურების დებულებებში ჩაიწეროს ყოველი წლის ბოლო პერიოდში მაგ : კათედრებმა წარმოადგინონ ჩანაწერი თუ რა ინვენტარი ესაჭიროებათ მათ საქმიანობის განხორციელებისათვის, ასევე დებულებაში ჩაიწეროს თუ რამდენად მიზნობრივად იყო გამოყენებული წინა წლის პერიოდში შესყიდული რესურსი. რაც შეეხება საპროგნოზო ბიუჯეტს, სკოლამ განმარტა, რომ მას აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადა, რომლის პერიოდშიც სკოლა გაწერს ბიუჯეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და გამოაქვეყნებს საჯაროდ მაგ : სკოლის ბლოგზე. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფაქტობრივი ბიუჯეტი;
- კომუნალური გადასახადების ქვითრები;
- შესყიდვების დოკუმენტები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ასევე სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, ასევე მოსწავლეების წახალისების ფორმები და გამოყენების წესი, მოსწავლის დისციპლინური დევნა და პასუხისმგებლობის სახეები. სკოლაში მოქმედებს მანდატურის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია მოსწავლის უსაფრთხოებაზე. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ასევე განთავსებულია სკოლის ბლოგზე, აქედან გამომდინარე, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებასთან. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება, სკოლამ ასევე ვერ წარმოადგინა ხელშეკრულების ნიმუში, რომლითაც შეფასდებოდა აღნიშნული ინდიკატორი. თუმცა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მზადდება ხელშეკრულების ფორმა და 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე გაფორმდება ხელშეკრულებები მშობლებთან.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.1.1.3 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 10.09.2023- 25.09.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლამ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს მოსწავლის საფეხურის დაძლევის მობილობის შემთხვევაში განსხვავებული საგნების სწავლების საკითხებს. სკოლის არ აქვს მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვის, მობილობის და შეწყვეტის პროცედურები გაწერილი, ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებით, სკოლას განემარტა , რომ მნიშვნელოვანი აღნიშნული მექანიზმები გაიწეროს და იყოს ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირისთვის, რისთვისაც სკოლამ ინტერვიუს პერიოდში მზაობა განაცხადა. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.1.1.3 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.09.2023- 20.09.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლას შეიმუშაოს მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების, მობილობის და შეწყვეტის პროცედურები

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; სკოლა პირველადი ავტორიზაციის პროცესშია, დაწესებულების ხელმძღვანელების განმარტებით, სკოლა სამომავლოდ დაიცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით დადგენილ პირობებს. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

მოქმედი სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია დამრიგებლის ფუნქციები, სადაც ერთ-ერთ ვალდებულებად გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა მოსწავლეებისა და მათი კანონირი წარმომადგენლებისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს დამატებით სერვისებს. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლა იმყოფება პირველადი ავტორიზაციის პროცესში მომდევნო სასწავლო წლისთვის არსებული პროგრამების , სერვისების და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას გეგმავს გამჭვირვალების პრინციპით. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ისქულის საინფორმაციო სისტემა;
- სკოლის დირექციასთან გასაუბრება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები . **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს სამომავლოდ მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, რისთვისაც არსებობს სკოლაში რესურს ოთახი და შესაბამისი დამხმარე სპეციალისტები. კლასის დამრიგებლებს ფუნქციებში გაწერილი აქვთ ზრუნვა მოსწავლეთა წამოჭრილ საჭიროებებზე და მხარდაჭერა. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით სკოლა მზადაა სათანადო კონსულტირება გაუწიოს მოსწავლეს მისი მიღწევების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც გამოიყენებს მოსწავლეების შეფასებებს. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; სასკოლო ადმინისტრაცია აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლაში იგეგმება დამატებითი არაფორმალური წრეების ჩამოყალიბება. სკოლის დირექციამ გასაუბრების პროცესში აღნიშნა, რომ თუ მოსწავლეების ინტერესი იქნება იგეგმება კოლეჯთან ხელშეკრულების გაფორმება, რომლის შემდეგაც მოხდება შესაბამისი პერსონალის დასაქმება. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლის დირექტორის განმარტებით, შესაბამისი კითხვარებით მოხდება სამომავლოდ ინფორმაციის დადგენა და მოსწავლეების დამატებითი საჭიროებების დადგენა განხორციელდება გამოკითხვების საფუძველზე. თუმცა ვინაიდან ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს დამატებითი სერვისები. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინტერვიუს შედეგებით.

სასკოლო სასწავლო გეგმით;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

- 1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**
- 2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**
- 3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; სკოლა გეგმავს სამომავლოდ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა გაზარდოს, ინტერვიუს პროცესში დირექტორმა აღნიშნა, რომ დადგენილი იქნება ინტერესის სფეროები, მოწვეული იქნებიან შესაბამისი სპეციალობის და კვალიფიკაციის ადამიანები, მოხდება პროფესიებზე საუბრები და სხვადასხვა შეხვედრები, ასევე იგეგმება კოლეჯებთან მემორანდუმის გაფორმება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; სკოლას წესი, რომლითაც დადასტურდებოდა მისი მზაობა, რომ მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს მიაწვდის განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია, თუმცა წარმოდგენილია პედაგოგიური საბჭოს ოქმი სადაც კოლეგებმა განიხილეს მოსწავლეების შედეგები, ვინაიდან ამ ეტაპზე ხორციელდება სკოლის პირველადი ავტორიზაცია ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლას არ წარმოუდგენია მეთოდოლოგია , როგორ მოახდენს ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასებას, თუმცა აღნიშნულის შემუშავებას გეგმავს, ვინაიდან აპირებს დამატებითი მომსახურეობის შეთავაზებას მოსწავლეთათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ ეტაპზე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინტერვიუს შედეგებით.

4 .2.2. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შესაბამეა საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში დასაქმებულია სპეციალური მასწავლებლები და, შექმნილია ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის ჯგუფი. სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია ფსიქოლოგის პოზიციაზე. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლას აქვს რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს ორი სპეციალური მასწავლებელი.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ის გგუფის ფორმირება. ის გგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც ასევე მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლის სირთულის ერთობლივად დაძლევაზეა დაფუძნებული. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდ. გეგმის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი;
- რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით;
- სპეციალურ მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

4 .2.3. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სკოლა აღნიშნულ მომსახურეობას არ ეწევა.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სკოლა აღნიშნულ მომსახურეობას არ ეწევა.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლა აღნიშნულ მომსახურეობას არ ეწევა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას:

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია ნაწილობრივ იკითხება სხვადასხვა დოკუმენტში, კერძოდ: 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმით, რომლის მიხედვითაც მთელი სასწავლო წლის მანძილზე უნდა ხორციელდებოდეს მასწავლებელთა შორის გამოცდილების გაზიარება და კოორდინირებული მუშაობა, ასევე სსიპ- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 4 ივლისის N5 ოქმში, რომლის მიხედვითაც სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად პედაგოგები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობდნენ, უზიარებდნენ გამოცდილებას და ითვალისწინებდნენ მოსწავლეების ინტერესებს. აღსანიშნავია, რომ

აღნიშნული ინფორმაცია კათედრების წარმომადგენელთან ინტერვიუს პროცესში ვლინდება. პედაგოგები სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავენ კურიკულუმებს. მათ გამოთქვას მზაობა, რომ სამომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია).

მართალია სკოლაში შეინიშნება კურიკულუმის შემუშავების ცალკეული აქტივობები კათედრების მხრიდან, ვინაიდან სკოლას არ აქვს ერთიანი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და პროცესები ძირითადად ვერბალური ხასიათისაა გაურკვეველია როგორ არის სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები, შეხედულებები და შესაძლებლობები გათვალისწინებული, ასევე როგორ არის მათი როლი გადანაწილებული და რა ფუნქცია აქვს თითოეულ მათგანს.

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და ასევე შესაბამისობის გეგმა ინდიკატორთან მიმართებით. კურიკულუმი პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 11 სექტემბერს, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტის სახით, იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღნიშნული ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა კონკრეტული ინსტრუმენტები, რომლითაც იგი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კათედრების ოქმებში და საგნობრივ კურიკულუმებში ნაწილობრივ იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები. მათემატიკის და ქართული ენის კათედრის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ დამრიგებლებს შექმნილი აქვთ მშობელთა ჯგუფები სოციალური ქსელებში, სადაც აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. აღნიშნული საკითხების განხილვა ასევე ხდება მშობელთა კრებებზეც. ასევე, მშობლებს შეუძლიათ თავიანთი მოსაზრებების გაჟღერება მშობელთა მიღების დღეს (ყოველ პარასკევს).

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - თვითშეფასების კითხვარის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნას, შესაძლებლობებს, მშობელთა ინტერესებს, სასკოლო პრიორიტეტებს და რეალიზების მექანიზმებს. თუმცა დამადასტურებელი დოკუმენტები არ წარმოუდგენიათ.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო წლის განმავლობაში ხდება მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების სხდომებზე. კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები. თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

უცხოური ენები - თვითშეფასების კითხვარის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნას, შესაძლებლობებს, მშობელთა ინტერესებს, სასკოლო პრიორიტეტებს და რეალიზების მექანიზმებს. თუმცა პროცესი ვერბალური ხასიათისაა და დოკუმენტის სახით სკოლას არ წარმოუდგენია.

მართალია სკოლაში შეინიშნება კურიკულუმის შემუშავების პროცესში საზოგადოებების ინტერესების გათვალისწინების ცალკეული აქტივობები კათედრების მხრიდან, თუმცა აღნიშნული არ არის სტრუქტურირებული, ამისთვის საჭიროა სკოლამ შეიმუშავოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, მეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა, სასურველია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესი მაქსიმალურად თანაბრად იყოს გათვალისწინებული, რისთვისაც შესაძლებელია შემუშავდეს შესაბამისი ინსტრუმენტები, მაგალითად კითხვარები, ფოკუს ჯგუფები, შეხვედრები და სხვა რომელთა ანალიზი, საშუალებას მისცემს სკოლას მშობელთა, მოსწავლეთა, მასწავლებელთა ხედვა და ინტერესი უფრო მიზნობრივად შეისწავლოს და შემდგომში გაითვალისწინოს.

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და ასევე შესაბამისობის გეგმა ინდიკატორთან მიმართებით. კურიკულუმი პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 11 სექტემბერს, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლას წარმოუდგენილი აქვს დოკუმენტის სახით, იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღნიშნული ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის შემუშავებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა ცალკეული კათედრების ოქმებში და საგნობრივ კურიკულუმებში ნაწილობრივ იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები და ჩართულობის ელემენტები. მათემატიკის და სპორტის კათედრების მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა, რომ წლის კურიკულუმი შეიმუშავეს ერთობლივად და წინა წლის გამოცდილებით, სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებულ კურიკულუმს განიხილავს სამეურვეო საბჭო და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. ასევე დაწყებითი და ესთეტიკური კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები, თემები, საკითხები, ცნებები და კონტექსტ-მაგალითების შერჩევა ურთიერთშეთანხმებით განხორციელდება. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულუმის ჩარჩოები, რომლის ფარგლებში დაეყრდნობიან წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. ტექნოლოგიების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩამენებულია კომპლექსური დავალებები, მასწავლებელი საუბრობს თუ როგორ განახორციელებს აღნიშნულ კომპლექსურ დავალებებს, საუბრობს კომპლექსური დავალების პირობაზე, ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლას არ წარმოუდგენია კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები ან აქტივობები. რომელიც წარმოაჩენს კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. ვიზიტის პერიოდში საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე არ აქვთ წარმოდგენილი რადგან ამ დოკუმენტზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს.

უცხოური ენები -კურიკულუმები შემუშავებულია პედაგოგების მიერ ინდივიდუალურად შესაბამისად არ იკვეთება თანამშრომლობითი მუშაობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები -საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია საგნის პედაგოგების მიერ, რომელთაც შექმნეს კურიკულუმის სამუშაო ვერსია, შემდეგ კი გადაამუშავეს და დაამტკიცეს კათედრის სხდომაზე, მიიღეს რეკომენდაციები ღირეულებისგან. შექმნის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. თუმცა სკოლას მტკიცებულებად არ წარმოუდგენია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და ასევე შესაბამისობის გეგმა ინდიკატორთან მიმართებით. კურიკულუმი პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 11 სექტემბერს, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტის სახით, იძლევა შესაძლებლობას სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას. აღნიშნული ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლაში არ გვხვდება მომავალში მისი გაზიარების ერთიანი მექანიზმები, თუმცა საგნობრივ კურიკულუმებში ნაწილობრივ გაწერილია ინფორმაციის გაზიარების ინსტრუმენტები. საზოგადოებრივ მეცნიერებების, უცხო ენების, მათემატიკის, ესთეტიკური აღზრდის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრებზე პედაგოგები მშობლის ბარათის გაზიარებით აწვდიან ინფორმაციას მშობლებს. წარმოდგენილია თუ რა ფორმით და ხერხებით მოხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ, ინფორმაცია გაზიარებულია ინტერნეტ სივრცეში One Drive- ზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. სახელმწიფო ენის კათედრაზე - მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. ასევე სკოლის ცალკეული მასწავლებელი გვევლინება მშობლის სტატუსით. კოლეგები მათ აწვდიან შედარებით ამომწურავ ინფორმაციას, რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე. ასევე შუალედურ მიზნებს მშობლებს აცნობენ ე.წ კომპლექსური დავალების ბარათებით. გასაუბრებისას დაწყებითის კლასებში დადასტურდა აღნიშნული. სპორტის საგანში აქტიურად ხორციელდება სპორტული ფესტივალები (მოძრავი თამაშები მძლეოსნობის; კალათბურთის; ფეხბურთის ელემენტების გამოყენებით), ფესტივალები შინაარსობრივად იგეგმება საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. ვინაიდან არსებული კურიკულუმების გაზიარების პრეცედენტები კათედრებზე იკვეთება, აქედან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა - სასურველია, კურიკულუმი არა მხოლოდ ცალკეული კათედრებისთვის და კლასებისთვის, არამედ შეიქმნას ინსტრუმენტი რომლის საშუალებითაც მთლიანი სასკოლო საზოგადოებისთვის იქნება გაზიარებული დაწყებითი კლასების კურიკულუმი (მაგალითად ქართული ენის კათედრაზე V-VI კლასების დონეზე კურიკულუმის გაზიარების ხერხები ბუნდოვანი დარჩა).

განსაკუთრებით სკოლამ უნდა იზრუნოს და გამონახოს ფორმა და მეთოდოლოგია, იმისთვის, რომ უზრუნველყოს მშობელთა და მოსწავლეთა მეტი ჩართულობა ამ პროცესებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022 წლის 7 სექტემბერს დამტკიცებული 2022-2023 სასწავლო წლის გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა;
- ისგ შემუშავების ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- კათედრების ოქმები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე ღირეუცისათან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ძირითად შემთხვევაში შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საშუალებას, მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები სასწავლო რესურსების შერჩევისას. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების დასახელებებთან მიმართებაში სამიზნე ცნებები სწორად არის განსაზღვრული. საგნობრივი კათედრების მიერ შემოთავაზებულ შუალედური მიზნების მიღწევის მიზნად შემუშავებულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისი კომპლექსურ დავალებები. გარდა ამისა სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, რაც ჩამენებულია სსგ-ში, ასევე გაწერილი აქვთ 2022-2023 ს.წ-ის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში. **აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

რჩევა - სასურველია სკოლის ფარგლებში კათედრების გამოცდილების გათვალისწინებით კათედრებზე (განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო კათედრაზე) შემუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩოები.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული მატრიცებისგან აგებული კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური

დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით წარმოდგენილია უკვე განხორციელებული კათედრებზე მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალებების პირობა გაწერილი ნაბიჯებით, როგორც ინტერვიუებში გამოიკვეთა, მათ აქვთ მიმდინარე წელს მსგავსი ტიპის დავალებებით მუშაობის გამოცდილება. კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება, რისი განხორციელების გამოვდილებაც სკოლაში არსებობს ხელს შეუწყობს ისეთი ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მსჯელობა, რეფლექსია, კომუნიკაციური უნარები, **აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესი უმეტესწილად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმში განსაზღვრულია, რომ სსსმ მოსწავლისთვის სკოლა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას. სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები, აღნიშნული პედაგოგებმა დაადასტურეს გასაუბრებისას. ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქვთ ინდივიდუალური გეგმით მუშაობის გამოცდილება, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით აკეთებენ კურიკულუმის ადაპტირებას, სადაც ჩანს დიფერენცირებული სწავლების ნიშნები. ასევე თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს რემედიაციულ სწავლებას, რათა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა უზრუნველყოს. **აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა : მნიშვნელოვანია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სასურველია გაიწეროს დიაგნოსტიკური შეფასების სისტემა, რომლის ფუნქცია იქნება მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვება და მისი ანალიზი, მოსწავლის საჭიროებების და ძლიერი მხარეების გამოვლენა, მოსწავლის დინამიკის პროცესის აღწერა რაც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული მიდგომების დახვეწას სასწავლო პროცესში.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს;

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია, რომ მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს, ასევე გეგმაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი ხასიათის ინფორმაცია. კათედრების უმრავლესობაში შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში, შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, ასევე უმრავლეს შემთხვევაში ხორციელდება თემაში სამიზნე ცნებების დამუშავება კომპლექსური დავალებებით, რაც ცხადყოფს შუალედური როლის მორგებას გრძელვადიან მიზნებზე გასასვლელად. აღსანიშნავია, რომ უხცოვნების კათედრაზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ექონდა წარმოდგენილი, თუმცა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ შეფასების მეორე მოდელის მიხედვით იხელმძღვანელებენ და ასევე ისაუბრეს შეფასების პროცესებზე 2022-2023 სასწავლო წლის პერიოდში.

გასაუბრების პროცესში ყველა კათედრის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი მერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა. ამასთან, კომპლექსური დავალებების პირობების შექმნისას გაითვალისწინებენ დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან მიმართებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრებების საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა - სასურველია გამოიყენონ შეფასების მრავალფეროვანი სისტემა. მაგალითად ისეთი საშუალებები როგორიცაა დაკვირვება, წერილობითი უკუკავშირი, თვითშეფასება, ურთიერთ შეფასება და ა.შ... შეარჩიონ მიმდინარე და შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები და მოარგონ კონკრეტული დავალების პირობას. ასევე, სკოლამ წარმოადგინოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საგან უცხო ენის კათედრაზე და საგანში “ჩვენ საქართველო”.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი:

დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, კათედრების უმრავლესობაში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით. გარდა ამისა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს წინარე გამოცდილება შუალედური სასწავლო მიზნებით საგაკვეთილო პროცესის განხორციელების დროს, შესაბამისად სწორედ მასზე დაყრდნობით იგეგმება დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ისგ ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- კურიკულუმის ჩარჩო/ჩარჩოები
- პედსაბჭოს ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შემავალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე კათედრებმა განსაზღვრეს, რომ სასწავლო პროცესი უნდა აიგოს კომპლექსური ბუნების დავალებებზე, ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის

შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც. მაგალითად: სპორტის კათედრის ფარგლებში დაწყებითი საფეხურზე მოწყობილია და დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა. წარმოდგენილი კურიკულუმებით, განხორციელებული კომპლექსური დავალებით და ასევე 2023-2024 სასწავლო წლის კომპლექსური დავალებების პირობითა და აქტივობებით შეგვიძლია დავასკვნათ რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას. **აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა : სასურველია სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმში აღწერილი აქტივობების მეტი კონკრეტიზაცია, მეტი მრავალფეროვნება და მეტად აქცენტის გაკეთება პრობლემაზე დაფუძნებული დავალებების გადაჭრაზე, სასკოლო პროექტებზე, საკლუბო აქტივობებზე და სხვა... რაც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში: კომპლექსური დავალებები გაწეროს

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

მოწოდებული კურიკულუმის ჩარჩოები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება სარეკომენდაციო თემების ფარგლებში. კათედრებზე განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე კონტექსტ- მაგალითები, რომლებიც ძირითადად გვხვდება კურიკულუმში. ყოველივე აღნიშნული გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სწავლა -სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლა სწავლების პროცესის უზრუნველყოფის მისაღწევად პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა სახის სწავლა-სწავლების სტრატეგიებს და მიდგომებს სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და ინტერაქტიული სწავლების მიდგომები. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. ასევე წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების დასახელებები რომელთა განხორციელებასაც აპირებს 2023-2024 სასწავლო წელს. მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი ცდილობენ თავიან მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. **აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა : მნიშვნელოვანია აღნიშნული ტიპის დავალებების შესრულებაში ჩავრთოთ ყველა მოსწავლე. სასურველია შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის პროცესში ყურადღება გამახვილდეს რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში... ასევე მასწავლებლებმა ხშირად გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში თანატოლთა შეფასება, თვითშეფასების რუბრიკები და ა.შ...

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

დაწყებითი საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. ყველა კათედრაზე კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად ,მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. ასევე ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა დაადასტურეს რომ გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის

თანახმად, კომპლექსური დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება:

საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც წარმოდგენილი აქვს სკოლას გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში უზრუნველყოფენ მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შეეცდებიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - სასურველია კათედრებს შორის თანამშრომლობის გამოკვეთა, ინტეგრირებული გაკვეთილებისა და კომპლექსური დავალებების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელება, სადამრიგებლო საათებში შესაბამისი აქტივობების ჩაშენება და არაფორმალური განათლების კიდევ უფრო გაძლიერება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო/ჩარჩოები
- კომპლექსური დავალება
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
- სადამრიგებლო პროგრამა
- კათედრების ოქმები
- ისგ შემუშავების ოქმი

- სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების განაცხადი
- სკოლის ბლოგი https://dzegvissajaroskola.blogspot.com/p/blog-page_30.html

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით:

როგორც ცნობილია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ცოდნისკენ სვლა მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული სიღმისეული სწავლის მიდგომებით ხორციელდება. დაწყებითი კლასის კურიკულუმში კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან

მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები. ამ ეტაპზე კურიკულუმების უმრავლესობაში გაწერილია ყველა თემა, სასწავლო საკითხები და სამიზნე ცნებები. ასევე ყველა საკითხზე შერჩეული კომპლექსური დავალება, შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები და შესაბამისად განსაზღვრულია ის სამიზნე ცნება/ცნებები როლებიც, შესაბამის საკითხებში უნდა დამუშავდეს. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. ამ ინდიკატორში **სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

რჩევა: სასურველია სკოლამ გაწეროს გრძელვადიანი და შუალედური მიზნები ყველა კლასში, კონსტრუქციული სიდრმისეული სწავლის მიდგომების განსახორციელებლად აუცილებელია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის, ამას კი უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და სრულყოფილად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები თავისი რეფლექსიით და მოსწავლეთა შედეგების ანალიზი.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას:

საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილია სასწავლო პროცესში სხვადასხვა რესურსისა თუ კონტექსტ-მაგალითების გამოყენება. კათედრების უმრავლესობას ამ ეტაპზე კურიკულუმის ჩარჩოებში, წარმოდგენილია საგნობრივი კონტექსტებზე შერჩეული კომპლექსური დავალების ნიმუშები. ცალკეულ კათედრებზე (უცხოური ენები, მათემატიკის, სახელმწიფო ენის) კათედრაზე -საგნობრივი კონტექსტი კურიკულუმებში გვხვდება ფრაგმენტულად და/ან კომპლექსური დავალებების პირობებთან მიმართებით. შესაბამისად, ცალსახად არ იკვეთება თუ რამდენად ემსახურება საგნობრივი კონტექსტები მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. თუმცა, საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრების წარმომადგენლების უმრავლესობას ესმის, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახუროდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ვინაიდან სკოლას დაწყებით საფეხურზე აქვს ცალკეული გამოცდილება შეარჩიოს საგნობრივი კონტექსტები, რომლებიც მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას მოემსახურება, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის პოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

დაწყებით საფეხურზე, სკოლამ ნაწილობრივ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. მაგალითად წარმოდგენილი იყო პროექტული სწავლების რუბრიკა- ნიმუში, რომლის შეფასებაც ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ცალკეულ საგნებში წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ზოგადი ნიმუშები (სპორტი, მე და საზოგადოება, ისტი, მათემატიკა, სახელმწიფო ენა), რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებისა და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენების. აღნიშნულიდან გამომდინარე მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა შექმნას ყველა საგანში კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, **შესაბამისად ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - საგანებში: „ჩვენი საქართველო“, ინგლისურ ენა, რუსული, ბუნებისმეტყველება ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება და შეიქმნას შეფასების რუბრიკების ნიმუშები.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი:

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სკოლამ ნაწილობრივ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. ინტერვიუს გზით გამოვლინდა დადებითი პრაქტიკა, რომ მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეების შეფასების რუბრიკებს, აზუსტებენ ნამდვილად გაიგო თუ არა მოსწავლემ დავალების პირობა და ის თუ როგორ შეფასდება. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მწირი გამოცდილება აქვთ, კლასში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ზეპირი უკუკავშირის საშუალებით, ზოგჯერ წერილობითაც. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად. **ქვედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. თუმცა ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ სკოლა სტანდარტის შესაბამისად შეიმუშავებს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს

სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება, რომ სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული აქვს შეფასების სამკოპონენტო სისტემა. კათედრისა და პედაგოგის ოქმებიდან, წარმოდგენილი მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზიდან, შემაჯამებელი დავალებების ანალიზიდან, ჩანს, მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლის შედეგებს, მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტების, კომლექსური დავალებებისა და სხვა მათ მიერ შექმნილი პროექტების, გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა მზადაა, მომავალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები და დანერგოს სასწავლო პროცესში ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.5 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.11.2023-15.12.2023წწ. **შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადასცემენ ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრებზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- ფოტო-მტკიცებულება
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის ჩარჩო
- კომპლექსური დავალების პირობა აქტივობებით

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, მასში გაწერილი საკითხები მისიისა და ხედვის შესახებ სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასების სისტემის, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირებისა და სადამრიგებლო პროგრამების შესახებ მიმართულია სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისაკენ. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო კლიმატი. ინტერვიუდან გამოჩნდა რომ

სკოლა ზრუნავს თანამშრომლობით გარემოს შექმნაზე, ისინი ერთად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. კათედრის წევრები რიგ შემთხვევებში ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს - რჩევებსა და რეკომენდაციებს, თუმცა ეს ძირითადად ხდება ზეპირი კომუნიკაციით, არ ხდება მასწავლებელთა უკუკავშირის, ჩატარებული სამუშაოს რეფლექსიის დოკუმენტირება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - სასურველია 2022-2023 სასწავლო წლიდან პედაგოგების ურთიერთდასწრების პროცესში უკუკავშირი ასევე განხორციელდეს წერილობითი სახითაც.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად:

სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. ამასთანავე სკოლა იყენებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. მაგალითად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. **აღიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სასურველია სკოლამ მუდმივად აწარმოოს მოსწავლეთა საჭიროებებისა და პროგრესის მონიტორინგი. მასწავლებლის მიერ უნდა ხდებოდეს პერიოდული გამოკითხვები, დიაგნოსტიკური შეფასების, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, რომლის ანალიზის შედეგად მის მიერ შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინონ თითოეული მოსწავლის საჭიროება.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რაც იგრძნობოდა, როგორც გასაუბრების დროს, ასევე, წლის განმავლობაში გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ

განმავითარებელ შეფასებებს. კათედრის წევრები ხელს უწყობენ სკოლის ბაზაზე ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებასა და გამოცდილების გაზიარებას **ადინშული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე:

სკოლის შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელობის დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და პედკოლექტივის მიმართ უზრუნველყოფს პოზიტიური და მეგობრული გარემოს შექმნას როგორც სკოლის შიგნით, ისე კლასის დონეზე. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. **ადინშული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად:

ამ ეტაპზე სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება დაფუძნებულია საგნობრივი კათედრების წლიური ანგარიშებზე. კათედრის წევრები აკვირდებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ უკუკავშირი უმეტეს შემთხვევაში ზეპირსიტყვიერია. აღსანიშნავია, რომ სკოლა ახალი სასწავლო წლიდან გაწერს თუ როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგს და შეფასებს, რითაც სრულყოფილად წარმოაჩენს მეთოდოლოგიის არსს. ვინაიდან სკოლას არ აქვს შემუშავებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ასევე არა აქვს მონიტორინგის მექანიზმებიც გაწერილი.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 1.09.2023-11.09.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმებში და კათედრების ოქმებში ასახულია პედაგოგთა ურთიერთდასწრების საფუძველზე გაკეთებული ანალიზი, აღნიშნულია, რომ ურთიერთ მონიტორინგი ხელს უწყობს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას. ოქმში გაანალიზებულია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა შედეგები, განმავითარებელი კომენტარების საშუალებით. მოსწავლეთა დაკვირვების საფუძველზე გამოკვეთილია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და შესაბამისად დაგეგმილია შემდგომი ინტერვენციები. თუმცა, სკოლას მტკიცებულების სახით არ წამოუდგენია აღნიშნული აქტივობების სხვა დამატებითი მტკიცებულება (დაკვირვების ფორმები, მასწავლებლების ანგარიშები და სხვა), ასევე სკოლას არ წარმოუდგენია მონიტორინგის კონკრეტული მექანიზმი, კერძოდ არ არის გაწერილი სტრატეგიები, გადაჭრის გზები. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 1.09.2023-11.09.2023წწ. **შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

რეკომენდაცია - სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ამ ეტაპზე მასწავლებლების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და უკუკავშირის მიცემა, მასწავლებელთა რეფლექსიები, კათედრის სხდომებსა და პედსაბჭოზე გაკეთებული

ანალიზები არის სპონტანური, მაგრამ კათედრაზე გამოთქვამენ მზაობას ჩამოაყალიბონ შეთანხმებული მეთოდოლოგია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.1.3 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 1.09.2023-11.09.2023წწ. **შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

რეკომენდაცია - სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა;
- პედ.საბჭოს ოქმი N5;
- მათემატიკის კურიკულუმი ;
- თვითშეფასების კითხვარი ;
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს:

სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) უნდა იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომლებიც საჭიროებს დახვეწას, მასწავლებლების ინტერვიუდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში და უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. რადგან სკოლაში გამოცდილება არსებობს, შეიძლება ითქვას რომ აქვთ მზაობა ამ მიმართულებით, შესაბამისად ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით:

სკოლა წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს რომ მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას დაეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, წრე და სხვა. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა

საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეეცდებიან გაითვალისწინონ სხვადასხვა კონტექსტები, როგორც მოსწავლეთა შეფასებისას, ასევე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესში. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას.

რადგან სკოლაში გამოცდილება არსებობს, შეიძლება ითქვას რომ აქვთ მზაობა ამ მიმართულებით, **შესაბამისად ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები:

სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს, ტარდება ინტერვიუები, ხარისხის ჯგუფი ზეპირსიტყვიერად აწარმოებს შეფასებას და ანალიზის საფუძველზე ისახება პრობლემის გადაჭრის გზები და სამომავლო გეგმები. დირექციის წევრებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმში იგეგმება სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მექანიზმის გაწერა და ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდების ანკეტირების, გამოკითხვის, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებთან დიალოგის, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვების დანერგვა სკოლაში. **ამ ეტაპზე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

მასწავლებლების ხელდა ნაწილობრივ ასახავს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ კურიკულუმის შეფასებისას ეყრდნობიან სხვადასხვა ფაქტორებს, თუმცა ეს პროცესი ზეპირი ხასიათისაა და კურიკულუმის შეფასების ერთიანი სისტემა შემუშავებული არ აქვთ. თუმცა, სასწავლო წლის დაწყებამდე უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე შეიმუშავენ შეფასების სისტემას, სადაც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები. რადგან ზეპირსიტყვიერად უკვე ეს გამოცდილება არსებობს, შეიძლება ითქვას რომ აქვთ მზაობა ამ მიმართულებით. **აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინტერვიუ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, თუმცა ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომ მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. ამ ეტაპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება ინფორმაციის რეფლექსია თუმცა სკოლა გამოხატავს მზაობას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შესაქმნელად. რადგან სკოლა ზეპირსიტყვიერად ახორცილებდა კურიკულუმთან დაკავშირებულ სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენასა და გაზიარებას, შეიძლება ითქვას რომ აქვთ მზაობა ამ მიმართულებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან

რჩევა - სასურველია, რომ კონსტრუქტივიზმის ყველა პრინციპზე იყოს ნაფიქრი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ვინაიდან, კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების SWOT ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კათედრამ გამოხატა მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზე და აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები რათა დაწერილი და განხორციელებული კურიკულუმებიდან მხოლოდ რეალურად განხორციელებული

ეხმარება მოსწავლეს საფეხურის დასრულების შემდეგ ყველა იმ უნარის განვითარებაში, რას მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ. რადგან კათედრის წევრები ზეპირსიტყვიერად უზიარებენ კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ერთმანეთს და შესაბამისად აქვთ მზაობა შეიმუშაონ რეკომენდაციები შემდეგ წელს კურიკულუმის დასახვეწად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი/განაცხადი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია ნაწილობრივ იკითხება სხვადასხვა დოკუმენტში, კერძოდ: 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმით, რომლის მიხედვითაც მთელი სასწავლო წლის მანძილზე უნდა ხორციელდებოდეს მასწავლებელთა შორის გამოცდილების გაზიარება და კოორდინირებული მუშაობა, ასევე სსიპ- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 4 ივლისის N5 ოქმში, რომლის მიხედვითაც სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად პედაგოგები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობდნენ, უზიარებდნენ გამოცდილებას და ითვალისწინებდნენ მოსწავლეების ინტერესებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ინფორმაცია კათედრების წარმომადგენელთან ინტერვიუს პროცესში ვლინდება. პედაგოგები სკოლის და

მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავენ კურიკულუმებს. მათ გამოთქვას მზაობა, რომ სამომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია).

მართალია სკოლაში შეინიშნება კურიკულუმის შემუშავების ცალკეული აქტივობები კათედრების მხრიდან, თუმცა ვინაიდან სკოლას არ აქვს ერთიანი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და პროცესები ძირითადად ვერბალური ხასიათისაა გაურკვეველია როგორ არის სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები, შეხედულებები და შესაძლებლობები გათვალისწინებული, ასევე როგორ არის მათი როლი გადანაწილებული და რა ფუნქცია აქვს თითოეულ მათგანს. დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და ასევე შესაბამისობის გეგმა ინდიკატორთან მიმართებით. კურიკულუმი პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 11 სექტემბერს, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტის სახით, იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღნიშნული ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები:

სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა კონკრეტული ინსტრუმენტები, რომლითაც იგი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კათედრების ოქმებში და საგნობრივ კურიკულუმში ნაწილობრივ იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები. მათემატიკის და ქართული ენის კათედრის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ დამრიგებლებს შექმნილი აქვთ მშობელთა ჯგუფები სოციალური ქსელებში, სადაც აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. აღნიშნული საკითხების განხილვა ასევე ხდება მშობელთა კრებებზეც. ასევე, მშობლებს შეუძლიათ თავიანთი მოსაზრებების გაქვრება მშობელთა მიღების დღეს (ყოველ პარასკევს). ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე გამოიკვეთა, რომ მშობლებს მიეწოდებათ ბარათები მომავალი წლიდან სკოლა გეგმავს კითხვარების შედგენას და მშობელთა გამოკითხვას, რათა გაითვალისწინონ მათი მოსაზრებები დაგეგმვის პროცესში. სპორტი საგანში შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო თემები: მძლეოსნობა; ფეხბურთი; კალათბურთი; ფრენბურთი და ბადმინტონი გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - თვითშეფასების კითხვარის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნას, შესაძლებლობებს, მშობელთა ინტერესებს, სასკოლო პრიორიტეტებს და რეალიზების მექანიზმებს, თუმცა აღნიშნული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლას არ წარმოუდგენია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, სასწავლო წლის განამჯლობაში ხდება მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების სხდომებზე. კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები. თუმცა, სკოლას არ აქვს მტკიცებულებად წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი.

უცხოური ენები - თვითშეფასების კითხვარის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნას, შესაძლებლობებს, მშობელთა ინტერესებს, სასკოლო პრიორიტეტებს და რეალიზების მექანიზმებს. თუმცა პროცესი ვერბალური ხასიათისაა და დოკუმენტის სახით სკოლას არ წარმოუდგენია.

სკოლაში შეინიშნება კურიკულუმის შემუშავების პროცესში საზოგადოებების ინტერესების გათვალისწინების ცალკეული აქტივობები კათედრების მხრიდან, თუმცა საჭიროა სკოლამ შეიმუშავოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა, სასურველია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესი მაქსიმალურად თანაბრად იყოს გათვალისწინებული, რისთვისაც შესაძლებელია შემუშავდეს შესაბამისი ინსტრუმენტები, მაგალითად კითხვარები, ფოკუს ჯგუფები, შეხვედრები და სხვა რომელთა ანალიზი, საშუალებას მისცემს სკოლას მშობელთა, მოსწავლეთა მასწავლებელთა ხედვა და ინტერესი უფრო მიზნობრივად შეისწავლოს და შემდგომში გაითვალისწინოს. დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და ასევე შესაბამისობის გეგმა ინდიკატორთან მიმართებით. კურიკულუმში პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 11 სექტემბერს, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლას წარმოუდგენილი

აქვს დოკუმენტის სახით, იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღნიშნული ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა კონკრეტული ინსტრუმენტები, რომლითაც იგი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას კურიკულუმის შემუშავების პროცესში, კათედრების ოქმებში და საგნობრივ კურიკულუმში ნაწილობრივ იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები. კერძოდ: **სახელმწიფო ენის, ესთეტიკური აღზრდის, მათემატიკის და სპორტის კათედრებზე კურიკულუმების შემუშავება იკვეთება** სასკოლო გეგმაში, პელსბჟოსა და კათედრის ოქმებში, რაც ნაწილობრივ მოწმობს, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე საბაზო კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიუმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავლეების შედეგებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლას არ წარმოუდგენია კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები ან აქტივობები. რომელიც წარმოაჩენს კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას.

ვიზიტის პერიოდში საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე არ აქვთ წარმოდგენილი რადგან ამ დოკუმენტზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმი შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ საგნის პედაგოგები რას ინტერვიუს პროცესში გამოჩნდა, თუმცა ამ ეტაპზე სკოლას არ წარმოუდგენია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

უცხოური ენები - კურიკულუმები შემუშავებულია კლასის პედაგოგების მიერ ინდივიდუალურად. კურიკულუმებთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა მიმდინარეობს ზეპირსიტყვიერად. ამ ეტაპზე ინდიკატორი არ არის შესაბამისი.

ვინაიდან ამ ეტაპზე ყველა კათედრაზე არ იკვეთება დოკუმენტურად როგორ ვლინდება საზოგადოების ჩართულობა საბაზო საფეხურის კურიკულუმის შექმნაში. დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და ასევე შესაბამისობის გეგმა ინდიკატორთან მიმართებით. კურიკულუმი პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 11 სექტემბერს, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტის სახით, იძლევა შესაძლებლობას სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას. აღნიშნული ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ:

სკოლაში არ გვხვდება მომავალში კურიკულუმის გაზიარების ერთიანი მექანიზმები, თუმცა საგნობრივ კურიკულუმებში ნაწილობრივ გაწერილია ინფორმაციის გაზიარების ინსტრუმენტები. საზოგადოებრივ მეცნიერებების, უცხო ენების, მათემატიკის, ესთეტიკური აღზრდის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრებზე პედაგოგები მშობლის ბარათის გაზიარებით აწვდიან ინფორმაციას მშობლებს. სკოლის განცხადებით სხვადასხვა ფორმით და ხერხებით მოხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ, ინფორმაცია გაზიარებულია ინტერნეტ სივრცეში One Drive- ზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. სახელმწიფო ენის კათედრაზე - მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. ასევე სკოლის ცალკეული მასწავლებელი გვევლინება მშობლის სტატუსით. კოლეგები მათ აწვდიან შედარებით ამომწურავ ინფორმაციას, რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე. ასევე შუალედურ მიზნებს მშობლებს აცნობენ ე.წ კომპლექსური დავალების ბარათებით. სპორტის საგანში აქტიურად ხორციელდება სპორტული ფესტივალები (მოძრავი თამაშები მძლეოსნობის; კალათბურთის; ფეხბურთის ელემენტების გამოყენებით), ფესტივალები შინაარსობრივად იგეგმება საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე ინდიკატორი შესაბამისობაშია.

რჩევა - სასურველია, კურიკულუმი არა მხოლოდ ცალკეული კათედრებისთვის და კლასებისთვის, არამედ შეიქმნას ინსტრუმენტი რომლის საშუალებითაც მთლიანი სასკოლო საზოგადოებისთვის იქნება გაზიარებული საბაზო კლასების კურიკულუმი

(მაგალითად ქართული ენის კათედრაზე V-VI კლასების დონეზე კურიკულუმის გაზიარების ხერხები ბუნდოვანი დარჩა). განსაკუთრებით სკოლამ უნდა იზრუნოს და გამოიყენოს ფორმა და მეთოდოლოგია, იმისთვის, რომ უზრუნველყოს მშობელთა და მოსწავლეთა მეტი ჩართულობა ამ პროცესებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022 წლის 7 სექტემბერს დამტკიცებული 2022-2023 სასწავლო წლის გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა;
- ისტ შეშუშავების ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- კათედრების ოქმები.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შეშუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე ღირეუცისათან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ძირითად შემთხვევაში შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საშუალებას, მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები სასწავლო რესურსების შერჩევისას. აღნიშნული კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების დასახელებებთან მიმართებაში სამიზნე ცნებები სწორად არის განსაზღვრული საგნობრივი კათედრების მიერ შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში, რომელიც შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. გარდა ამისა სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, რაც ჩაშენებულია სსგ-ში, ასევე გაწერილი აქვთ 2022-2023 ს.წ-ის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში.

რჩევა: სასურველია ყველა კათედრაზე კურიკულუმის ჩარჩოში ცალკეული თემის ფარგლებში გაიწეროს სამიზნე ცნება/ქვეცნება, სასწავლო რესურსები. შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრონ სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, უმეტეს წილად ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური

დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით წარმოდგენილია უკვე განხორციელებული კათედრებზე მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალებების პირობა გაწერილი ნაბიჯებით, როგორც ინტერვიუებში გამოიკვეთა, მათ აქვთ მიმდინარე წელს მსგავსი ტიპის დავალებებით მუშაობის გამოცდილება. აღნიშნული ტიპის დავალებების შესრულება ხელს შეუწყობს ისეთი ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მსჯელობა, რეფლექსია, კომუნიკაციური უნარები. **ამ ინდიკატორში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

რჩევა- მატრიცებისგან უნდა აიგოს ისეთი კურიკულუმები, რომლების ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. კომპლექსური დავალებებში უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, დასაზუსტებელი აქვთ თუ არა საკითხთა კლასტერის გამოყოფა, შესაბამისი ქვეცნებისა და ქვესაკითხის დაზუსტება. ისტორიაში გათვალისწინებულ იქნას მერვე და მეცხრე კლასებში ყველა თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. საგან გეოგრაფიაში გაიწეროს ყველ სავალდებულო თემა და გათვალისწინებული იქნას ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სასწავლო პროცესი უმეტესწილად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმში განსაზღვრულია, რომ სსსმ მოსწავლისთვის სკოლა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას. სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები, აღნიშნული პედაგოგებმა დაადასტურეს გასაუბრებისას. კურიკულუმის თემის სწავლების ერთეულებში ჩანს დიფერენცირებული სწავლების ნიშნები. ასევე გასაუბრებებისას გამოიკვეთა, რომ აქვთ ინდივიდუალური გეგმით მუშაობის გამოცდილება, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით აკეთებენ

კურიკულუმის ადაპტირებას, სადაც ჩანს დიფერენცირებული სწავლების ნიშნები. ასევე თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს რემედიაციულ სწავლებას, რათა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა უზრუნველყოს. **აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა : მნიშვნელოვანია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სასურველია გაიწეროს დიაგნოსტიკური შეფასების სისტემა, რომლის ფუნქცია იქნება მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვება და მისი ანალიზი, მოსწავლის საჭიროებების და ძლიერი მხარეების გამოვლენა, მოსწავლის დინამიკის პროცესის აღწერა რაც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული მიდგომების დახვეწას სასწავლო პროცესში.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია, რომ მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს, ასევე გეგმაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი ხასიათის ინფორმაცია. კათედრების უმრავლესობაში შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში, შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, ასევე უმრავლეს შემთხვევაში ხორციელდება თემაში სამიზნე ცნებების დამუშავება კომპლექსური დავალებებით, რაც ცხადყოფს შუალედური როლის მორგებას გრძელვადიან მიზნებზე გასასვლელად. **სახელმწიფო ენის კათედრაზე, საბაზო საფეხურზე** წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც ჩაშენებული იყო საფეხურზე სანიმუშოდ წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში. იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში, დავრწმუნდით, რომ განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და ძირითად მეთოდოლოგიურ ორიენტირებს.

აღსანიშნავია, რომ უხცოვნების კათედრაზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ქონდა წარმოდგენილი, თუმცა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ შეფასების მეორე მოდელის მიხედვით იხელმძღვანელებენ და ასევე

ისაუბრეს შეფასების პროცესებზე 2022-2023 სასწავლო წლის პერიოდში. ასევე მათემატიკის კათედრაზე სკოლამ წარმოდგინა განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე ზოგადი რუბრიკა(პრეზენტაციის, დისკუსიის, საშინაო დავალების...) ვიზიტის დროს წარმოადგინეს და აღწერეს სოლო ტექსტონომიის შაბლონი, ამ ეტაპზე სკოლას არა აქვს ჩამოყალიბებული ერთიანი შეფასების სისტემა.

გასაუბრების პროცესში ყველა კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნა, რომ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა. ამასთან, კომპლექსური დავალებების პირობების შექმნისას გაითვალისწინებენ დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან მიმართებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრებებისა საფუძველზე აღნიშნული **ინდიკატორი ამ ეტაპზე დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - სკოლამ შეიმუშაოს ესგ-ის შესაბამისი შეფასების ჰოლისტური სისტემა, რომელიც იქნება სწავლების განუყოფელი ნაწილი და მოიცავს მრავალფეროვანი მეთოდისა და ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას. შეფასების ძირითადი პრინციპები ყველა კათედრაზე მოიყვანონ შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასების კრიტერიუმები დაუკავშირონ გრძელვადიან მიზნებს. ჩართონ მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში. გამოიყენონ შეფასების ისეთი საშუალებები როგორიცაა დაკვირვება, წერილობითი უკუკავშირი, თვითშეფასება, ურთიერთ შეფასება და ა.შ... წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები...

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, თუმცა არ აქვთ გამოცდილების გაზიარების დოკუმენტური ანალიზი, რომლის შექმნასაც ახალი სასწავლო წლისათვის გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. კათედრების უმრავლესობაში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით. გარდა ამისა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს წინარე გამოცდილება შუალედური სასწავლო მიზნებით

საგაკვეთილო პროცესის განხორციელების დროს, შესაბამისად სწორედ მასზე დაყრდნობით იგეგმება საბაზო საფეხურის კურიკულუმების შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლ სასწავლო გეგმის პროექტი
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/რუბრიკები
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები
- კურიკულუმის ჩარჩო/ჩარჩოები
- განმავითარებელი შეფასების ნიმუში
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შემავალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე კათედრებმა განსაზღვრეს, რომ სასწავლო პროცესი უნდა აიგოს კომპლექსური ბუნების დავალებებზე, ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვა. ასევე ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს და ყველა მასწავლებელი ერთნაირად შეეცდებიან რომ ყოველდღიურად გამოიყენონ ისეთი მიდგომები, რომ სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. **აღნიშნული სტანდარტი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - სასურველია სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმში აღწერილი აქტივობების მეტი კონკრეტიზაცია, მეტი მრავალფეროვნება და მეტად აქცენტის გაკეთება პრობლემაზე დაფუძნებული დავალებების გადაჭრაზე, სასკოლო პროექტებზე, საკლუბო აქტივობებზე და სხვა... რაც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში: შეძლონ გამოწვევების მიღება,

იდენტიფიცირება მოახდინონ და განიხილონ/გადაწყვიტონ პრობლემა, გაეცნონ ინფორმაციას, დაამუშაონ და გადმოსცენ იგი სხვადასხვა კონტექსტში. ეს თავისთავად გაზრდის მათ მოტივაციასა და ჩართულობას.

სასურველია სკოლას ქონდეს განხორციელებული ღონისძიებების, პროექტების და სხვა აქტივობების ჩამონათვალი ესთეტიკური აღზრდის საგნების კუთხით.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საბაზო საფეხურზე მოწოდებული კურსკულუმის ჩარჩოები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება სარეკომენდაციო თემების ფარგლებში. კათედრებზე განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ძირითადად გვხვდება კურიკულუმში. ყოველივე აღნიშნული გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სწავლა -სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

რჩევა: სასურველია მუსიკის საგნის 7-9 კლასების კურიკულუმებში განისაზღვროს ქვეცნებებსა და ქვესაკითხებს შორის სხვაობა. ქვეცნება არის ცნების რაიმე წახნაგი, ქვესაკითხი კი არის ცნების მიმართება საკითხთან.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლა სწავლების პროცესის უზრუნველყოფის მისაღწევად პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა სახის სწავლა-სწავლების სტრატეგიებს და მიდგომებს სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და ინტერაქტიული სწავლების მიდგომები. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის

იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. ასევე წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების დასახელებები რომელთა განხორციელებასაც აპირებს 2023-2024 სასწავლო წელს. მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი ცდილობენ თავიანთ მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. **აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა : მნიშვნელოვანია აღნიშნული ტიპის დავალებების შესრულებაში ჩავრთოთ ყველა მოსწავლე. სასურველია შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის პროცესში ყურადღება გამახვილდეს რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში... ასევე მასწავლებლებმა ხშირად გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში თანატოლთა შეფასება, თვითშეფასების რუბრიკები და ა.შ...

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

საბაზო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. ყველა კათედრაზე კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად ,მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. ასევე ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა დაადასტურეს რომ გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, კომპლექსური დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო

პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება:

საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც წარმოდგენილი აქვს სკოლას საბაზო საფეხურზე, გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში უზრუნველყოფენ მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შეეცდებიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იქნებოდა კათედრებს შორის თანამშრომლობის გამოკვეთა, ინტეგრირებული გაკვეთილებისა და კომპლექსური დავალებების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელება, სადამრიგებლო საათებში შესაბამისი აქტივობების ჩაშენება და არაფორმალური განათლების კიდევ უფრო გაძლიერება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო/ჩარჩოები
- კომპლექსური დავალება
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
- სადამრიგებლო პროგრამა
- კათედრების ოქმები

- ისე შემუშავების ოქმი
- სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების განაცხადი
- სკოლის ბლოგი https://dzegvissajaroskola.blogspot.com/p/blog-page_30.html

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

საბაზო საფეხურის კურიკულუმში კათედრებს გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები. ამ ეტაპზე კურიკულუმების უმრავლესობაში გაწერილია ყველა თემა, სასწავლო საკითხები და სამიზნე ცნებები. ასევე ყველა საკითხზე შერჩეული კომპლექსური დავალება, შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები და შესაბამისად განსაზღვრულია ის სამიზნე ცნება/ცნებები როლებიც, შესაბამის საკითხებში უნდა დამუშავდეს. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათი რეფლექსია. აცნობიერებენ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას და ფუნდამენტურ მუშაობას. საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებთან საუბრისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, ბუნებისმეტყველების პედაგოგებს შუალედური სასწავლო მიზნებით მუშაობის მწირი გამოცდილება აქვთ. ამ მხრივ სკოლა საჭიროებს მეტ პრაქტიკულ მუშაობას. ინტერვიუს მსვლელობისას აღნიშნეს, რომ მსჯელობისას უკეთესად გააცნობიერეს აღნიშნული და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ კურსკულუმებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. განსაკუთრებული ყურადღებით ჩამოაყალიბებენ საფეხურის საკვანძო შეკითხვებს, ვინაიდან, როგორ ვასწავლოთ და როგორ დავამუშავებინოთ ინფორმაცია მოსწავლეებს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რჩევა-სკოლას სსგ-ში განსაზღვრული აქვს გრძელვადიანი მიზნები საფეხურის ფარგლებში ზოგადად, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სკოლამ უზრუნველყოს უშუალოდ სამიზნე ცნებების/ქვეცნებების გაწერა კურსკულუმში ცალკეული თემის შესაბამისად და ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ კონსტრუქციული სიღრმისეული სწავლის მიდგომების განსახორციელებლად აუცილებელია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის, ამას კი უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და სრულყოფილად

გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები თავისი რეფლექსიით და მოსწავლეთა შედეგების ანალიზი.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას:

საბაზო საფეხური საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილია სასწავლო პროცესში სხვადასხვა რესურსისა თუ კონტექსტ-მაგალითების გამოყენება. კათედრების უმრავლესობას ამ ეტაპზე კურიკულუმის ჩარჩოებში, წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კონტექსტები შერჩეული კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის. ცალკეულ კათედრებზე (უცხოური ენები, მათემატიკის, სახელმწიფო ენის) კათედრაზე -საგნობრივი კონტექსტი კურიკულუმში გვხვდება ფრაგმენტულად და/ან კომპლექსური დავალებების პირობებთან მიმართებით. შესაბამისად, ცალსახად არ იკვეთება თუ რამდენად ემსახურება საგნობრივი კონტექსტები მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. თუმცა, საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრების წარმომადგენლების უმრავლესობას ესმის, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახუროდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

სკოლას საბაზო საფეხურზე აქვს მზაობა შეარჩიოს საგნობრივი კონტექსტები რომლებიც მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას მოემსახურება, შესაბამისად ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

საბაზო საფეხურზე, სკოლამ ნაწილობრივ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. მაგალითად წარმოდგენილი იყო პროექტული სწავლების რუბრიკა- ნიმუში, რომლის შეფასებაც ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ცალკეულ საგნებში წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ზოგადი ნიმუშები (სპორტი, მე და საზოგადოება, ისტი, მათემატიკა, სახელმწიფო ენა), რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებისა და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენების აღნიშნულიდან გამომდინარე მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა შექმნას ყველა საგანში კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, შესაბამისად ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა - საგანებში: „ჩვენი საქართველო“, ინგლისურ ენა, რუსული, ბუნებისმეტყველება, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება და შეიქმნას შეფასების რუბრიკების ნიმუშები.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი:

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სკოლამ ნაწილობრივ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. ინტერვიუს გზით გამოვლინდა დადებითი პრაქტიკა, რომ მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეების შეფასების რუბრიკებს, აზუსტებენ ნამდვილად გაიგო თუ არა მოსწავლემ დავალების პირობა და ის თუ როგორ შეფასდება. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მწირი გამოცდილება აქვთ, კლასში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ზეპირი უკუკავშირის საშუალებით, ზოგჯერ წერილობითაც. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

რჩევა - საგანებში: „ჩვენი საქართველო“, ინგლისურ ენა, რუსული, ბუნებისმეტყველება, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება და შეიქმნას შეფასების რუბრიკების ნიმუშები.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. თუმცა ავტორიზაციი თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ სკოლა სტანდარტის შესაბამისად შეიმუშავებს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება, რომ სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული აქვს შეფასების სამკოპონენტო სისტემა. კათედრისა და პედსაბჭოს ოქმებიდან, წარმოდგენილი მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების

შედეგების ანალიზიდან, შემაჯამებელი დავალებების ანალიზიდან, ჩანს, მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლის შედეგებს, მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტების, კომლექსური დავალებებისა და სხვა მათ მიერ შექმნილი პროდუქტების, გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა მზადაა, მომავალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები და დანერგოს სასწავლო პროცესში ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.5 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.11.2023-15.12.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადასცემენ ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრებზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- საგნობრივი კურიკულუმები

- შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა/რუბრიკები
- განმავითრებელი შეფასების რუბრიკა/რუბრიკები
- ფოტო-მტკიცებულება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, მასში გაწერილი საკითხები მისიისა და ხედვის შესახებ სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასების სისტემის, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირებისა და სადამრიგებლო პროგრამების შესახებ მიმართულია სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისაკენ. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო კლიმატი. ინტერვიუდან გამოჩნდა რომ სკოლა მეტწილად ზრუნავს თანამშრომლობით გარემოს შექმნაზე, ისინი ერთად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. კათედრის წევრები რიგ შემთხვევებში ერთობლივად გეგმავდნენ გაკვეთილებს, უზიარებდნენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს - რჩევებსა და რეკომენდაციებს. თუმცა

გაურკვეველი დარჩა სახელმწიფო ენის კათედრის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან, დირექტორთან მათი კომუნიკაციის საკითხი. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში არ ხდება კათედრის წევრების და დირექციას შორის ეფექტური კომუნიკაცია. აუცილებელია, სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობით გარემოს შექმნა და უზრუნველყოფა.

ვინაიდან სკოლაში უმეტესწილად არის თანამშრომლობითი და მიმღებლობითი გარემო კათედრების ნაწილში და ასევე დირექციასა და ნაწილ პედაგოგებს შორის **ადნიშნული ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

რჩევა - სასურველია კათედრის ყველა წევრი ერთიანად იყოს ჩართული თანამშრომლობით პროცესში და მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული თითოეული წევრის აზრი.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

მიმდინარე კურიკულუმების მთავარი ორიენტირია მოსწავლის ინტერესები, არჩევითი დავალებების შეთავაზება, მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის პრინციპების გათვალისწინება. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემების, თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები, გაწერილი კომპლექსური დავალებები, ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და შესადარებელი მაგალითები, რომელთა საფუძველზეც სექტემბრამდე იგეგმება კომპლექსური დავალებების გაწერა. მაგალითად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. **ადნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სასურველია სკოლამ მუდმივად აწარმოოს მოსწავლეთა საჭიროებებისა და პროგრესის მონიტორინგი. მასწავლებლის მიერ უნდა ხდებოდეს პერიოდული გამოკითხვები, დიაგნოსტიკური შეფასების, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, რომლის ანალიზის შედეგად მის მიერ შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინონ თითოეული მოსწავლის საჭიროება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ შეფასების რუბრიკები მორგებული უნდა იყოს თემის ფარგლებში

დასამუშავებელ თითოეულ სამიზნე ცნებაზე და მკვიდრ წარმოდგენებზე, რაც კიდევ უფრო მეტად გამოკვეთს სასწავლო პროცესში მოსწავლის როლს.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას:

საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი უმეტესწილად ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რაც იგრძნობოდა გასაუბრების დროს. კათედრის წევრები უმეტესწილად ხელს უწყობენ სკოლის ბაზაზე ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებასა და გამოცდილების გაზიარებას, წლის განმავლობაში ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა, არამედ იმ გუნდის სრულად, რომელიც სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს.

ვინაიდან ამ ეტაპზე სკოლაში უმეტესად იგრძნობა თანამშრომლობითი გარემო, რაც ასევე დასტურდება კათედრების და პედაგოგიური საბჭოს ოქმებით, სტანდარტი **ამ ეტაპზე დაკმაყოფილებულია**

რჩევა - სასურველია სკოლამ უზრუნველყოს თანამშრომლობითი და პოზიტიური კულტურის დამკვიდრება: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა. ვინაიდან ამ ეტაპზე დოკუმენტურად არ გამოიკვეთა აღნიშნული სიტუაციის გადაჭრის ინტერვენციები სკოლის მხრიდან.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელობის დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და პედაგოგიკის მიმართ უზრუნველყოფს პოზიტიური და მეგობრული გარემოს შექმნას როგორც სკოლის შიგნით, ისე კლასის დონეზე. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის დიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას.

თუმცა მათემატიკის კათედრაზე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათემატიკის კათედრის წევრთა უმრავლესობა თანამშრომლობს ერთმანეთთან, თუმცა არა ყველა. ერთი-ერთი პედაგოგი ღიად გამოთქვამდა პროტესტს, რაც თავისთავად არაჯანსაღად აისახება კათედრის მუშაობაზე.

ვინაიდან ამ ეტაპზე სკოლაში უმეტესად იგრძნობა თანამშრომლობითი გარემო, რაც ასევე დასტურდება კათედრების და პედაგოგიური საბჭოს ოქმებით, სტანდარტი **ამ ეტაპზე დაკმაყოფილებულია**

რჩევა - სასურველია სკოლამ უზრუნველყოს თანამშრომლობითი და პოზიტიური კულტურის დამკვიდრება: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა. ვინაიდან ამ ეტაპზე დოკუმენტურად არ გამოიკვეთა აღნიშნული სიტუაციის გადაჭრის ინტერვენციები სკოლის მხრიდან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად:

ამ ეტაპზე სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება დაფუძნებულია საგნობრივი კათედრების წლიური ანგარიშებზე. კათედრის წევრები აკვირდებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ უკუკავშირი უმეტეს შემთხვევაში ზეპირსიტყვიერია. ვინაიდან სკოლას არ აქვს შემუშავებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ასევე ვერ ექნება მონიტორინგის მექანიზმებიც გაწერილი. აღსანიშნავია, რომ სკოლა ახალი სასწავლო წლიდან გაწერს თუ როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რითაც სრულყოფილად წარმოაჩენს მეთოდოლოგიის არსს. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 1.09.2023-11.09.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლას არ წარმოუდგენია მონიტორინგის კონკრეტული მექანიზმი. თუმცა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმებში და კათედრების ოქმებში ასახულია პედაგოგთა ურთიერთდასწრების საფუძველზე გაკეთებული ანალიზი, აღნიშნულია, რომ ურთიერთმონიტორინგი ხელს უწყობს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას. ოქმში გაანალიზებულია საბაზო საფეხურის მოსწავლეთა შედეგები, განმავითარებელი კომენტარების საშუალებით. მოსწავლეთა დაკვირვების საფუძველზე გამოკვეთილია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და შესაბამისად დაგეგმილია შემდგომი ინტერვენციები. თუმცა, სკოლას მტკიცებულების სახით არ წამოუდგენია აღნიშნული აქტივობების სხვა დამატებითი მტკიცებულება (დაკვირვების ფორმები, მასწავლებლების ანგარიშები და სხვა), დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 1.09.2023-11.09.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ამ ეტაპზე მასწავლებლების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და უკუკავშირის მიცემა, მასწავლებელთა რეფლექსიები, კათედრის სხდომებსა და პედ საბჭოზე გაკეთებული ანალიზები არის სპონტანურად, მაგრამ კათედრაზე გამოთქვამენ მზაობას ჩამოაყალიბონ შეთანხმებული მეთოდოლოგია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.1.3 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 1.09.2023-11.09.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა;
- პედ.საბჭოს ოქმი N5;
- მათემატიკის კურიკულუმი ;
- თვითშეფასების კითხვარი ;
- სკოლის სტატუსის მადიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს:

სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) უნდა იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომლებიც საჭიროებს დახვეწას, მასწავლებლების ინტერვიუდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და

რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში და უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. რადგან სკოლაში გამოცდილება არსებობს, შეიძლება ითქვას რომ აქვთ მზაობა ამ მიმართულებით, შესაბამისად ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება.. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით:

სკოლა წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს რომ მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას დაეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, წრე და სხვა. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეეცდებიან გაითვალისწინონ სხვადასხვა კონტექსტები, როგორც მოსწავლეთა შეფასებისას, ასევე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესში. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას.

რადგან სკოლაში გამოცდილება არსებობს, შეიძლება ითქვას რომ აქვთ მზაობა ამ მიმართულებით, შესაბამისად ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები:

სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს, ტარდება ინტერვიუები, ხარისხის ჯგუფი ზეპირსიტყვიერად აწარმოებს შეფასებას და ანალიზის საფუძველზე ისახება პრობლემის გადაჭრის გზები და სამომავლო გეგმები. დირექციის წევრებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმში იგეგმება სტატისტიკური მონაცემების შეგროვების

მექანიზმის გაწერა და ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდების ანკეტირების, გამოკითხვის, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებთან დიალოგის, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვების დანერგვა სკოლაში. ამ ეტაპზე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

მასწავლებლების ხედვა ნაწილობრივ ასახავს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ კურიკულუმის შეფასებისას ეყრდნობიან სხვადასხვა ფაქტორებს, თუმცა ეს პროცესი ზეპირი ხასიათისაა და კურიკულუმის შეფასების ერთიანი სისტემა შემუშავებული არ აქვთ. თუმცა, სასწავლო წლის დაწყებამდე უცხოური ენების საბაზო საფეხურზე შეიმუშავებენ შეფასების სისტემას, სადაც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები. რადგან ზეპირსიტყვიერად უკვე ეს გამოცდილება არსებობს, შეიძლება ითქვას რომ აქვთ მზაობა ამ მიმართულებით. აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინტერვიუ

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, თუმცა ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომ მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს ხარისხის გაზიარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. ამ ეტაპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება ინფორმაციის რეფლექსია თუმცა სკოლა გამოხატავს მზაობას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შესაქმნელად. რადგან სკოლა ზეპირსიტყვიერად ახორციელებდა კურიკულუმთან დაკავშირებულ სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენასა და გაზიარებას, შეიძლება ითქვას რომ აქვთ მზაობა ამ მიმართულებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან

რჩევა - სასურველია, რომ კონსტრუქტივიზმის ყველა პრინციპზე იყოს ნაფიქრი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ვინაიდან, კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების SWOT ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კათედრამ გამოხატა მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზე და აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები რათა დაწერილი და განხორციელებული კურიკულუმებიდან მხოლოდ რეალურად განხორციელებული ეხმარება მოსწავლეს საფეხურის დასრულების შემდეგ ყველა იმ უნარის განვითარებაში, რას მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ. რადგან კათედრის წევრები ზეპირსიტყვიერად უზიარებენ კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ერთმანეთს და შესაბამისად აქვთ მზაობა შეიმუშაონ რეკომენდაციები შეემდეგ წელს კურიკულუმის დასახვეწად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი/განაცხადი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

დანართი №2 საშუალო საფეხურზე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლას ამ ეტაპისთვის არ აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო საზოგადოების განცხადებით ამ ეტაპზე ხორციელდება მისი შემუშავება და გეგმავს, რომ სასწავლო 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს დაამტკიცოს, ხოლო ახალი სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებული კურიკულუმის მეთოდოლოგიის საფუძველზე უზრუნველყოს საგნობრივი კურიკულუმების მოდიფიცირება. საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია ნაწილობრივ იკითხება სხვადასხვა დოკუმენტში, კერძოდ: 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმით, რომლის მიხედვითაც მთელი სასწავლო წლის მანძილზე უნდა ხორციელდებოდეს მასწავლებელთა შორის გამოცდილების გაზიარება და კოორდინირებული მუშაობა, ასევე სსიპ- მცხეთის მინიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 4 ივლისის N5 ოქმში, რომლის მიხედვითაც სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად პედაგოგები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობდნენ, უზიარებდნენ გამოცდილებას და ითვალისწინებდნენ მოსწავლეების ინტერესებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ინფორმაცია კათედრების წარმომადგენელთან ინტერვიუს პროცესში ვლინდება. პედაგოგები სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია).

მართალია სკოლაში შეინიშნება კურიკულუმის შემუშავების ცალკეული აქტივობები კათედრების მხრიდან, თუმცა ვინაიდან სკოლას არ აქვს ერთიანი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და პროცესები ძირითადად ვერბალური ხასიათისაა გაურკვეველია როგორ არის სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები, შეხედულებები და შესაძლებლობები გათვალისწინებული, ასევე როგორ არის მათი როლი გადანაწილებული და რა ფუნქცია აქვს თითოეულ მათგანს.

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და ასევე შესაბამისობის გეგმა ინდიკატორთან მიმართებით. კურიკულუმი პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 11 სექტემბერს, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტის სახით, იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღნიშნული ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა კონკრეტული ინსტრუმენტები, რომლითაც იგი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კათედრების ოქმებში და საგნობრივ კურიკულუმში ნაწილობრივ იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები. მათემატიკის კათედრის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ დამრიგებლებს შექმნილი აქვთ მშობელთა ჯგუფები სოციალური ქსელებში, სადაც აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. აღნიშნული საკითხების განხილვა ასევე ხდება მშობელთა კრებებზეც. ასევე, მშობლებს შეუძლიათ თავიანთი მოსაზრებების გაჟღერება მშობელთა მიღების დღეს (ყოველ პარასკევს). ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე გამოიკვეთა, რომ მშობლებს მიეწოდებათ ბარათები მომავალი წლიდან სკოლა გეგმავს კითხვარების შედგენას და მშობელთა გამოკითხვას, რათა გაითვალისწინონ მათი მოსაზრებები დაგეგმვის პროცესში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - თვითშეფასების კითხვარის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნას, შესაძლებლობებს, მშობელთა ინტერესებს, სასკოლო პრიორიტეტებს და რეალიზების მექანიზმებს, თუმცა არნიშნული ინფორმაცია ამ საფეხურთან მიმართებით ვერ დასტურდება დოკუმენტურად.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, სასწავლო წლის განამვლობაში ხდება მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების სხდომებზე. კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები. თუმცა, სკოლას არ აქვს მტკიცებულებად წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი.

უცხოური ენები - თვითშეფასების კითხვარის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნას, შესაძლებლობებს, მშობელთა ინტერესებს, სასკოლო პრიორიტეტებს და რეალიზების მექანიზმებს. თუმცა პროცესი ვერბალური ხასიათისაა და დოკუმენტის სახით სკოლას არ წარმოუდგენია.

სახელმწიფო ენა -სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი და მოტივაცია, თუმცა ძირითადი პასუხისმგებლობა გადადის საგნობრივ კათედრის რამდენიმე წევრებსა და დირექციაზე; ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას დამრიგებლების მეშვეობით ახდენს. დამრიგებლებს შექმნილი აქვთ მშობელთა ჯგუფები სოციალური ქსელებში, სადაც აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც. ასევე, მშობლებს შეუძლიათ თავიანთი მოსაზრებების გაჟღერება მშობელთა მიღების დღეს (ყოველ პარასკევს) კონკრეტული საფეხურის ღონეზე ვერ გამოიკვეთა. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

სპორტი -სკოლას არ აქვს წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმები რომელშიც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ გააკეთებს საშუალო საფეხურის კურიკულუმებს და სექტემბრისთვის ექნება წარმოდგენილი;

სკოლაში შეინიშნება კურიკულუმის შემუშავების პროცესში საზოგადოებების ინტერესების გათვალისწინების ცალკეული აქტივობები კათედრების მხრიდან, თუმცა საჭიროა სკოლამ შეიმუშავოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა, სასურველია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესი მაქსიმალურად თანაბრად იყოს გათვალისწინებული, რისთვისაც შესაძლებელია შემუშავდეს შესაბამისი ინსტრუმენტები, მაგალითად კითხვარები, ფოკუსჯგუფები, შეხვედრები და სხვა რომელთა ანალიზი, საშუალებას მისცემს სკოლას მშობელთა, მოსწავლეთა მასწავლებლებთან ხელვა და ინტერესი უფრო მიზნობრივად შეისწავლოს და შემდგომში გაითვალისწინოს.

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და ასევე შესაბამისობის გეგმა ინდიკატორთან მიმართებით. კურიკულუმი პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 11 სექტემბერს, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტის სახით, იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღნიშნული ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა კონკრეტული ინსტრუმენტები, რომლითაც იგი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას კურიკულუმის შემუშავების პროცესში, თუმცა კათედრების ოქმებში და საგნობრივ კურიკულუმში ნაწილობრივ იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები. კერძოდ:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლას არ წარმოუდგენია კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები ან აქტივობები. რომელიც წარმოაჩენს კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას.

ვიზიტის პერიოდში საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე არ აქვთ წარმოდგენილი რაღაცან ამ დოკუმენტზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმი შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ საგნის პედაგოგები, თუმცა ამ ეტაპზე სკოლას არ წარმოუდგენია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

უცხოური ენები - კურიკულუმები შემუშავებულია კლასის პედაგოგების მიერ ინდივიდუალურად.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის თვითშეფასების განაცხადში ნათქვამია, რომ კურიკულუმის შექმნაზე იმუშავებს თითოეული საგნის პედაგოგი და თვითონვე შექმნის იმ კლასის კურიკულუმს, რომელსაც ასწავლის და პასუხისმგებელი იქნება კურიკულუმის განხორციელებაზე. საგნობრივი კურიკულუმი ინდივიდუალური იქნება სკოლისათვის.

სახელმწიფო ენა - სასკოლო გეგმაში, პედასტოგთა და კათედრის ოქმებში იკვეთება, სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნებს დოკუმენტის სახით არ წერენ. შევეცადეთ გავვერკვა მათი ხედვა 2023-2024 წლის კურიკულუმის ჩარჩოების შესახებ. ასევე, როგორ დაეფუძნებინა წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. მასწავლებლები შემოიფარგლებოდნენ ზოგადი საუბრებით, რომ მათ აქვთ დიდი ხნის გამოცდილება მოსწავლეებთან მუშაობისა.

სპორტი - სკოლას არ აქვს წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმები, რის შემუშავებაშიც ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ შეიმუშავებს საშუალო საფეხურის კურიკულუმებს, სადაც ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. სტანდარტის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და ასევე შესაბამისობის გეგმა ინდიკატორთან მიმართებით. კურიკულუმი პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 11 სექტემბერს, კურიკულუმის

შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტის სახით, იძლევა შესაძლებლობას სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას. აღნიშნული ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ:

სკოლაში არ გვხვდება მომავალში კურიკულუმის გაზიარების ერთიანი მექანიზმები, თუმცა საგნობრივ კურიკულუმებში ნაწილობრივ გაწერილია ინფორმაციის გაზიარების ინსტრუმენტები. საზოგადოებრივ მეცნიერებების, უცხო ენების, მათემატიკის, ესთეტიკური აღზრდის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრებზე პედაგოგები მშობლის ბარათის გაზიარებით აწვდიან ინფორმაციას მშობლებს. სკოლის განცხადებით სხვადასხვა ფორმით და ხერხებით მოხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ, ინფორმაცია გაზიარებულია ინტერნეტსივრცეში One Drive- ზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. სპორტის საგანში აქტიურად ხორციელდება სპორტული ფესტივალები (მოძრავი თამაშები მძლეოსნობის; კალათბურთის; ფეხბურთის ელემენტების გამოყენებით), ფესტივალები მწაარსობრივად იგეგმება საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით.

თუმცა **სახელმწიფო ენის კათედრაზე** კურიკულუმი არ არის ფართოდ გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ. დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, თუ რა ფორმით და ხერხებით მოხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გეგმებს შეხვედრებზე საუბრისას. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. ასევე სკოლის ცალკეული მასწავლებელი გვევლინება მშობლის სტატუსით. კოლეგები მათ აწვდიან შედარებით ამომწურავ ინფორმაციას, რა იგეგმება მათი შვილების კლასებში ავტორიზაციის თვითმეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმი ატვირთულია ონლაინ სივრცეში და მისი გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. ასევე შუალედურ მიზნებს მშობლებს აცნობენ ე.წ კომპლექსური დავალების ბარათებით, თუმცა საშუალო საფეხურის დონეზე მსგავსი დოკუმენტები არ იძებნება.

იმის გათვალისწინებით რომ სკოლაში მეტწილად კათედრების ფარგლებში ვლინდება კურიკულუმების გაზიარების სფერო და გასაუბრებების პროცესში ცალსახად გამოიკვეთა რომ მოდება დოკუმენტურადაც ამ პროცესების გაწერა **ამ ეტაპზე ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

რჩევა - სასურველია, კურიკულუმი არა მხოლოდ ცალკეული კათედრებისთვის და კლასებისთვის, არამედ შეიქმნას ინსტრუმენტი რომლის საშუალებითაც მთლიანი სასკოლო საზოგადოებისთვის იქნება გაზიარებული საშუალო კლასების კურიკულუმი (მაგალითად ქართული ენის კათედრაზე V-VI კლასების დონეზე კურიკულუმის გაზიარების ხერხები ბუნდოვანი დარჩა). განსაკუთრებით სკოლამ უნდა იზრუნოს და გამოიყენოს ფორმა და მეთოდოლოგია, იმისთვის, რომ უზრუნველყოს მშობელთა და მოსწავლეთა მეტი ჩართულობა ამ პროცესებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022 წლის 7 სექტემბერს დამტკიცებული 2022-2023 სასწავლო წლის გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა;
- ისგ შემუშავების ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- კათედრების ოქმები.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე უმეტესწილად შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საშუალებას, მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები სასწავლო რესურსების შერჩევისას. შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებების ნიმუშები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად.

რამოდენიმე კათედრაზე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნას, შესაძლებლობებს, მშობელთა ინტერესებს, სასკოლო პრიორიტეტებს და რეალიზების მექანიზმებს. თუმცა ამ ეტაპზე პროცესი ვერბალური ხასიათისაა და დოკუმენტის სახით სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა. ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა, კათედრებს გააზრებული აქვთ, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები არასრულყოფილია და აქვთ მზაობა ერთობლივი მუშაობით შეჯერდნენ კურიკულუმებზე და კომპლექსური დავალების პირობებზე. ვინაიდან საშალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმების უმეტესობა ორიენტირებულია პროცესების დაგეგმვასა და განვითარებაზე და კათედრები გამოხატავენ მზაობას ურთიერთთანამშრომლობით დახვეწონ შემუშავებული დოკუმენტები, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

რჩევა - სასურველია სკოლის ფარგლებში კათედრების გამოცდილების გათვალისწინებით კათედრებზე (მეტწილად სპორტის, უცხოენის და სახელმწიფო ენის კათედრებზე) შემუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩოები.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები):

საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმების უმეტესი ნაწილი ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით წარმოდგენილია უკვე განხორციელებული კათედრებზე მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალებების პირობა გაწერილი ნაბიჯებით, როგორც ინტერვიუებში გამოიკვეთა, მათ აქვთ მიმდინარე წელს მსგავსი ტიპის დავალებებით მუშაობის გამოცდილება. აღნიშნული ტიპის დავალებების შესრულება ხელს შეუწყობს ისეთი ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მსჯელობა, რეფლექსია, კომუნიკაციური უნარები. აღსანიშნავია, რომ ნაწილ კათედრებზე ამ ეტაპზე სრულად ვერ დგინდება კურიკულუმის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან, თუმცა როგორც ინტერვიუებში გამოიკვეთა, მასწავლებლებს აქვთ მიმდინარე წელს დავალებებით მუშაობის გამოცდილება, რომლის შესრულებაც ხელს შეუწყობს ისეთი ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მსჯელობა, რეფლექსია, კომუნიკაციური უნარები. **ამ ინდიკატორში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

რჩევა- მატრიცებისგან უნდა აიგოს ისეთი კურიკულუმები, რომლების ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. კომპლექსური დავალებებში უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, დასაზუსტებელი აქვთ თუ არა საკითხთა კლასტერის გამოყოფა, შესაბამისი ქვეცნებისა და ქვესაკითხის დაზუსტება.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სასწავლო პროცესი უმეტესწილად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმში განსაზღვრულია, რომ სსსმ მოსწავლისთვის სკოლა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას. სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები, აღნიშნული პედაგოგებმა დაადასტურეს გასაუბრებისას. კურიკულუმის თემის სწავლების ერთეულებში ჩანს დიფერენცირებული სწავლების ნიშნები. ასევე გასაუბრებებისას გამოიკვეთა, რომ აქვთ ინდივიდუალური გეგმით მუშაობის გამოცდილება, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით აკეთებენ კურიკულუმის ადაპტირებას, სადაც ჩანს დიფერენცირებული სწავლების ნიშნები. ასევე თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს რემედიაციულ სწავლებას, რათა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა უზრუნველყოს. **აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა : მნიშვნელოვანია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სასურველია გაიწეროს დიაგნოსტიკური შეფასების სისტემა, რომლის ფუნქცია იქნება მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვება და მისი ანალიზი, მოსწავლის საჭიროებების და ძლიერი მხარეების გამოვლენა, მოსწავლის დინამიკის პროცესის აღწერა რაც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული მიდგომების დახვეწას სასწავლო პროცესში.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია, რომ მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს, ასევე გეგმაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი ხასიათის ინფორმაცია. კათედრების უმრავლესობაში შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში, შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, ასევე უმრავლეს შემთხვევაში ხორციელდება თემაში სამიზნე

ცნებების დამუშავება კომპლექსური დავალებებით, რაც ცხადყოფს შუალედური როლის მორგებას გრძელვადიან მიზნებზე გასასვლელად. აღსანიშნავია, რომ უცხოენების კათედრაზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ექონდა წარმოდგენილი, თუმცა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ შეფასების მეორე მოდელის მიხედვით იხელმძღვანელებენ და ასევე ისაუბრეს შეფასების პროცესებზე 2022-2023 სასწავლო წლის პერიოდში. ასევე მათემატიკის კათედრაზე სკოლამ წარმოდგინა განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე ზოგადი რუბრიკა (პრეზენტაციის, დისკუსიის, საშინაო დავალების...) ვიზიტის დროს წარმოადგინეს და აღწერეს სოლო ტაქსონომიის შაბლონი, ამ ეტაპზე სკოლას არა აქვს ჩამოყალიბებული ერთიანი შეფასების სისტემა.

გასაუბრების პროცესში ყველა კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნა, რომ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა. ამასთან, კომპლექსური დავალებების პირობების შექმნისას გაითვალისწინებენ დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან მიმართებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრებებისა საფუძველზე აღნიშნული **ინდიკატორი ამ ეტაპზე დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - სკოლამ შეიმუშაოს ესგ-ის შესაბამისი შეფასების ჰოლისტური სისტემა, რომელიც იქნება სწავლების განუყოფელი ნაწილი და მოიცავს მრავალფეროვანი მეთოდისა და ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას. შეფასების ძირითადი პრინციპები ყველა კათედრაზე (უმეტესწილად უცხოენების, ქართული ენის, სპორტის კათედრებზე) მოიცვანონ შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასების კრიტერიუმები დაუკავშირონ გრძელვადიან მიზნებს. ჩართონ მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში. გამოიყენონ შეფასების ისეთი საშუალებები როგორიცაა დაკვირვება, წერილობითი უკუკავშირი, თვითშეფასება, ურთიერთ შეფასება და ა.შ... წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები...

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, თუმცა არ აქვთ გამოცდილების გაზიარების დოკუმენტური ანალიზი, რომლის შექმნასაც ახალი სასწავლო წლისათვის გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. კათედრების უმრავლესობაში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით. გარდა ამისა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს წინარე გამოცდილება შუალედური სასწავლო მიზნებით საგაკვეთილო პროცესის განხორციელების დროს, შესაბამისად სწორედ მასზე დაყრდნობით იგეგმება საბაზო საფეხურის კურიკულუმების შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ისგ ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- კურიკულუმის ჩარჩო/ჩარჩოები
- პედსაბჭოს ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისუქი);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

საშუალო საფეხურის კათედრების ნაწილის მიერ შექმნილ კურიკულუმებში შემავალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. თუმცა კონკრეტულმა კათედრებმა საერთოდ არ წარმოადგინეს კურიკულუმები ან/და მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ:

სახელმწიფო ენა - კათედრის მიერ საფეხურის დონეზე არ არის წარმოდგენილი კურიკულუმები ჩარჩოები. შესაბამისად, ვერ მოგვეცა საშუალება განვსაზღვროთ, რამდენად იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ისინი თავინთი მდიდარი გამოცდილებიდან გამომდინარე სათანადოდ გეგმავენ სწავლა-სწავლების პროცესს და ხელი უწყობენ აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში მიუთითებენ, რომ ამისთვის პროექტული სწავლების გაძლიერებას.

სპორტი - საფეხურის დონეზე არ არის წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოები. შესაბამისად, ვერ მოგვეცა საშუალება განვსაზღვროთ, რამდენად იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს დაასტურა, რომ საშუალო საფეხურზე შეიმუშავენ სასკოლო კურიკულუმებს რომლის განხორციელების პროცესში ჩართული იქნება ყველა მოსწავლე და სასწავლო პროცესი თითოეულ ბავშვს მისცემს შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობის შესაძლებლობა.

ასევე, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს და ყველა მასწავლებელი ერთნაირად შეეცდებიან რომ ყოველდღიურად გამოიყენონ ისეთი მიდგომები, რომ სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. მაგრამ ვინაიდან ამ ეტაპზე მოსწავლეების აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში ვერ დასტურდება დოკუმენტურად ყველა კათედრაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 09.09.2023-11.09.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საშალო საფეხურზე ყველა კათედრაზე ნაწილობრივ არის წარმოდგენილი, მოწოდებული კურიკულუმის ჩარჩოებში იკვეთება, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება სარეკომენდაციო თემების ფარგლებში. კათედრებზე განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე კონტექსტ- მაგალითები, რომლებიც ძირითადად გვხვდება კურიკულუმში. სახელმწიფო ენის კათედრაზე, მართალია არ არის წარმოდგენილი კურიკულიმები, თუმცა - გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე „ფონურ ცოდნაზე“ დაფუძნებით. . მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ, რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ. ასევე უცხოური ენების კათედრაზე -სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა კომპლექსური დავალებების დასახელებები, რომელთა განხორციელებასაც აპირებს 2023-2024. აღნიშნული დავალებები თავისი ბუნებიდან გამომდინარე მოითხოვს წინარე ცოდნის გააქტიურებას. შესაბამისად, თუკი სკოლა კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებსაც სწორად დაგეგმავს , 2023-2024 სასწავლო წელს უცხოური ენების საბაზო საფეხურზე შეძლებს დაგეგმოს სასწავლო პროცესი რომელშიც ახალი ცოდნის კონსტრუირება მოხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **სპორტი კათედრაზეც** -მასწავლებელმა ინტერვიუს დროს გამოთქვა მზაობა, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ვინაიდან ამ ეტაპზე მასწავლებლების მიერ გამოხატულია მზაობა, რომ **ახალი ცოდნის კონსტრუირება განხორციელდეს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**, რაზეც უმეტესწილად მოწმობს წარმოდგენილი კურიკულუმები ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

რჩევა: სკოლამ შეიმუშაოს და წარმოადგინოს საშუალო საფეხურის 10-12 კლასების კურიკულუმები სპორტის, სახელმწიფო ენის და უცხო ენების კათედრებზე, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა სტანდარტის მოთხოვნები იყოს შესაბამისი.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლა სწავლების პროცესის უზრუნველყოფის მისაღწევად უმეტესწილად პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა სახის საწვლა-სწავლების სტრატეგიებს და მიდგომებს სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და ინტერაქტიული სწავლების მიდგომები. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. ასევე წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების დასახელებები რომელთა განხორციელებასაც აპირებს 2023-2024 სასწავლო წელს. მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი ცდილობენ თავიანთ მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. სახელმწიფო ენის კათედრაზე, მართალია არ არის წარმოდგენილი კურიკულიმები, თუმცა - მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ცდილობენ თავიანთ მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. ასევე უცხოური ენები კათედრაზე -სკოლამ საშუალო საფეხურზე კურიკულუმები წარმოდგინა ფრანგულ ენის სახით. კერძოდ, წარმოდგენილია მხოლოდ პირველ უცხოურ ენაში მე-10 კლასში 1 კომპლექსური დავალება. აღნიშნული დავალების შესრულებისას სწორად დაგეგმილი ეტაპების შემთვევაში შესაძლებელია ითქვას რომ აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე. **სპორტი კათედრაზეც** -მასწავლებელმა ინტერვიუს დროს გამოთქვა მზაობა, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ვინაიდან ამ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდება სწავლა სწავლებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლამ შეიმუშაოს და წარმოდგინოს სპორტის, სახელმწიფო ენის და უცხო ენების 10-12 კლასების კურიკულუმები, რომლების სასწავლო პროცესში განხორციელების დროს აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირების და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

საბაზო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი უმეტესწილად უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. ასევე ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა დაადასტურეს რომ გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, კომპლექსური დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. სახელმწიფო ენის კათედრაზე გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული). უცხოური ენების კათედრაზე - სკოლამ კურიკულუმები წარმოადგინა ფრანგმეტული სახით. კერძოდ, წარმოდგენილია მხოლოდ პირველ უცხოურ ენაში მე-10 კლასში 1 კომპლექსური დავალება. აღნიშნული დავალება ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებაზე. სამომავლოდ თუკი სკოლა წარმოადგენს სხვა კურიკულუმებშიც მსგავსი ტიპის კომპლექსურ დავალებებს, შეძლებს დაგეგმოს სასწავლო პროცესი რომელიც ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **სპორტი კათედრაზე** -მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტიში დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ.

რჩევა: სკოლამ სრულად შეიმუშაოს და წარმოადგინოს სპორტის, სახელმწიფო ენის და უცხო ენების 10-12 კლასების კურიკულუმები, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის სრულად წარმოდგენას.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება:

უცხოური ენების კათედრაზე -სკოლამ კურიკულუმები წარმოადგინა ფრანგმეტული სახით. კერძოდ, წარმოდგენილია მხოლოდ პირველ უცხოურ ენაში მე-10 კლასში 1 კომპლექსური დავალება. აღნიშნული დავალება სიღრმისეულ გააზრებაში საჭიროებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას. სამომავლოდ თუკი სკოლა წარმოადგენს სხვა კურიკულუმებშიც მსგავსი ტიპის კომპლექსურ დავალებებს, შეძლებს დაგეგმოს სასწავლო პროცესი რომელშიც აქცენტი გაკეთდება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. **სახელმწიფო ენის კათედრის მასწავლებლები** გასაუბრებისას, რომ სასწავლო პროცესში

უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ არ ასწავლიან კომპლექსური ბუნების დავალებებით, თუმცა მიზანს მაინც აღწევენ, თუმცა შესაბამისი მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი. სასურველია მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა დაგეგმონ კომპლექსური ბუნების დავალებები, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პრობლემის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.

პორტი -სკოლას არ აქვს წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმის ნიმუში, არც სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც გამოჩნდება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდისა და სპორტში საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ექნება წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სექტემბრისთვის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.5 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 09.09.2023-11.09.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო/ჩარჩოები
- კომპლექსური დავალება
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
- სადამრიგებლო პროგრამა
- კათედრების ოქმები
- ისგ შემუშავების ოქმი

- სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების განაცხადი
- სკოლის ბლოგი https://dzegvissajaroskola.blogspot.com/p/blog-page_30.html

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

როგორც ცნობილია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ცოდნისკენ სვლა მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული სიღმისეული სწავლის მიდგომებით ხორციელდება. საშალო საფეხურის კურიკულუმში კათედრებს ნაწილობრივ გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები. ამ ეტაპზე ნაწილში გაწერილია ყველა თემა, სასწავლო საკითხები და სამიზნე ცნებები. თუმცა საგნობრივი კათედრების ნაწილში ამ ეტაპზე ფიქსიტდება შემდეგი სახის ხარვეზები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ უნდა იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, ასევე საგაკვეთილო აქტივობები გააზრებული უნდა იყოს მიზნის თვალსაზრისით. მასწავლებლებთან საუბრისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, ბუნებისმეტყველების პედაგოგებს შუალედური სასწავლო მიზნებით მუშაობის მწირი გამოცდილება აქვთ. ამ მხრივ სკოლა საჭიროებს მეტ პრაქტიკულ მუშაობას. ინტერვიუს მსვლელობისას აღნიშნეს, რომ მსჯელობისას უკეთესად გააცნობიერეს აღნიშნული და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ კურსკულუმებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. განსაკუთრებული ყურადღებით ჩამოაყალიბებენ საფეხურის საკვანძო შეკითხვებს, ვინაიდან, როგორ ვასწავლოთ და როგორ დავამუშავებინოთ ინფორმაცია მოსწავლეებს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია.

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესი უნდა უზრუნველყოფდეს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და დაგეგმილი უნდა იყოს შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები სამომავლოდ გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. მსგავსი მზაობა ჯერჯერობით არ შეიმჩნევა.

სპორტი - მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ისე დაგეგმავს სასწავლო პროცესს რომელიც უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რადგან სკოლას არ აქვს წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმის ნიმუში.

სკოლამ ცალკეულ კათედრებზე ვერ წარმოადგინა კურიკულუმები/კურიკულუმების ნიმუშები სადაც ასახული იქნება სასწავლო პროცესის დაგეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რათა სტანდარტის მოთხოვნები იყოს შესაბამისი.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 09.09.2023-11.09.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას:

საშალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ნაწილში წარმოდგენილია სასწავლო პროცესში სხვადასხვა რესურსისა თუ კონტექსტ-მაგალითების გამოყენება. კათედრების უმრავლესობას ამ ეტაპზე კურიკულუმის ჩარჩოებში, წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კონტექსტები შერჩეული კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის. თუმცა გარკვეულ კათედრებზე იკვეთება მთელი რიგი უზუსტობები, კერძოდ:

სახელმწიფო ენა - ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში იკითხება მწირი, ზოგადი ხედვა, საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებამაც ვერ გამოკვეთა, რომ გააზრებულია საგნობრივი კონტექსტები, რომლებიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სპორტი -მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ისე დაგეგმავს სასწავლო პროცესს საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან სკოლას არ აქვს წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმის ნიმუში ან სხვა რაიმე დოკუმენტი აღნიშნული ვერ დასტურდება.

სკოლამ ცალკეულ კათედრებზე ვერ წარმოადგინა კურიკულუმები/კურიკულუმების ნიმუშები, ან სხვა დოკუმენტები სადაც ასახული იქნება ინდიკატორის შესაბამისი მტკიცებულებები.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.2 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 09.09.2023-11.09.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე:

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საშალო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. ამ ეტაპზე სკოლაში წერილობითი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები იღებენ. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დონის დასადგენად. საშუალო საფეხურზე, სკოლამ ნაწილობრივ წარმოადგინა განმავითარებელი

და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. უცხოური ენების კათედრაზე - სკოლას დოკუმენტის სახით არ წარმოუდგენია შეფასების რუბრიკები. თუმცა, გასაუბრების დროს განაცხადეს რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შეიმუშავენ. ასევე სახელმწიფო ენის კათედრაზე არ არის მითითებული როგორ შეიმუშავენ კათედრა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და ეფუძნება თუ არა იგი გრძელვადიან მიზნებს. რადგან სკოლამ ვერ წარმოადგინა სრული დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ორიენტირებულობას მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.3 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 09.09.2023-11.09.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, ინტერვიუს გზით გამოვლინდა დადებითი პრაქტიკა, რომ მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს, აზუსტებენ ნამდვილად გაიგო თუ არა მოსწავლემ დავალების პირობა და ის თუ როგორ შეფასდება. თუმცა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მწირი გამოცდილება აქვთ, კლასში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ზეპირი უკუკავშირის საშუალებით, ზოგჯერ წერილობითაც. უცხოური ენების კათედრაზე - სკოლას დოკუმენტის სახით არ წარმოუდგენია შეფასების რუბრიკები. თუმცა, გასაუბრების დროს განაცხადეს რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შეიმუშავენ. სახელმწიფო ენის კათედრაზე მასწავლებლებმა კონკრეტული მტკიცებულებები ან დასაბუთება, როგორ და რა მეთოდიკური ორიენტირებით მოახდენენ შეფასების კონცეფციისა და მიდგომის შემუშავებას მკაფიოდ ვერ წარმოაჩინეს. მათემატიკის კათედრაზე შემუშავებულია და არსებობს განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე ზოგადი რუბრიკა. ვიანიდან სპორტის კათედრაზე სკოლას არ აქვს წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმების ნიმუში ვერ მოხდა აღნიშნული ინდიკატორის გადამოწმება. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად, პრობლემების იდენტიფიცირებისა და შემდგომი პროცესების დაგეგმვისთვის. რადგან სკოლამ ვერ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ან ნიმუშები ყველა საგნისთვის.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.4 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 09.09.2023-11.09.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. თუმცა ავტორიზაციი თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ სკოლა სტადარტის შესაბამისად შეიმუშავებს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს

სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება, რომ სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული აქვს შეფასების სამკოპონენტო სისტემა. კათედრისა და პედაგოგის ოქმებიდან, წარმოდგენილი მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზიდან, შემაჯამებელი დავალებების ანალიზიდან, ჩანს, მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლის შედეგებს, მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტების, კომლექსური დავალებებისა და სხვა მათ მიერ შექმნილი პროდუქტების, გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა მზადაა, მომავალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები და დანერგოს სასწავლო პროცესში ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.5 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.11.2023-15.12.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადსცემენ ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრებზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმი*
- *შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა/რუბრიკები*
- *განმავითრებელი შეფასების რუბრიკა/რუბრიკები*
- *ფოტო-მტკიცებულება*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი/ოქმები*
- *სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, მასში გაწერილი საკითხები მისიისა და ხედვის შესახებ სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასების სისტემის, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირებისა და სადამრიგებლო პროგრამების შესახებ მიმართულია სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისაკენ. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო კლიმატი. ინტერვიუდან გამოჩნდა რომ სკოლა მეტწილად ზრუნავს თანამშრომლობით გარემოს შექმნაზე, ისინი ერთად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. კათედრის წევრები რიგ შემთხვევებში ერთობლივად გეგმავდნენ გაკვეთილებს, უზიარებდნენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს - რჩევებსა და რეკომენდაციებს.

რჩევა - სასურველია კათედრის ყველა წევრი ერთიანად იყოს ჩართული თანამშრომლობით პროცესში და მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული თითოეული წევრის აზრი.

2. სასწავლო პროცესი წარმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სასწავლო პროცესში მოსწავლეები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მოსწავლეები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემების, თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები, გაწერილი კომპლექსური დავალებები, ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და შესაძარებელი მაგალითები, რომელთა საფუძველზეც სექტემბრამდე იგეგმება კომპლექსური დავალებების გაწერა. აღსანიშნავია, რომ სპორტის კათედრაზე არაა წარმოდგენილი კურიკულიუმები, თუმცა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. **აღიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სასურველია სკოლამ მუდმივად აწარმოოს მოსწავლეთა საჭიროებებისა და პროგრესის მონიტორინგი. მასწავლებლის მიერ უნდა ხდებოდეს პერიოდული გამოკითხვები, დიაგნოსტიკური შეფასების, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, რომლის ანალიზის შედეგად მის მიერ შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინონ თითოეული მოსწავლის საჭიროება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სკოლამ შეიმუშაოს და წარმოადგინოს საშუალო საფეხურის 10-12 კლასების კურიკულუმები

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას:

საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი უმეტესწილად ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რაც იგრძნობოდა გასაუბრების დროს. კათედრის წევრები უმეტესწილად ხელს უწყობენ სკოლის ბაზაზე ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებასა და გამოცდილების გაზიარებას, წლის განმავლობაში ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა, არამედ იმ გუნდის სრულად, რომელიც სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს. მათემატიკის კათედრის წევრთა უმრავლესობა, თუმცა არა ყველა თანამშრომლობს ერთმანეთთან, ცდილობს პოზიტიური კლიმატის დამკვიდრებას.

აღსანიშნავია, რომ რამოდენიმე კათედრაზე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრთა უმრავლესობა თანამშრომლობს ერთმანეთთან და დირექციასთან, თუმცა არა ყველა. ერთი-ერთი პედაგოგი დიად გამოთქვამდა პროტესტს, რის შემდეგაც შეინიშნებოდა სიტყვიერი დაპირისპირება კათედრის წევრებს შორის აღნიშნული თავისთავად არაჯანსაღად აისახება კათედრის მუშაობაზე, და მიმდებლობის ხარისხიც ნაკლებია.

ვინაიდან ამ ეტაპზე სკოლაში უმეტესად იგრძნობა თანამშრომლობითი გარემო, რაც ასევე დასტურდება კათედრების და პედაგოგიური საბჭოს ოქმებით, სტანდარტი **ამ ეტაპზე დაკმაყოფილებულია.**

რჩევა - სასურველია სკოლამ უზრუნველყოს თანამშრომლობითი და პოზიტიური კულტურის დამკვიდრება: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა,

მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა. ვინაიდან ამ ეტაპზე დოკუმენტურად არ გამოიკვეთა აღნიშნული სიტუაციის გადაჭრის ინტერვენციები სკოლის მხრიდან.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელობის დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და პედკოლექტივის მიმართ უზრუნველყოფს პოზიტიური და მეგობრული გარემოს შექმნას როგორც სკოლის შიგნით, ისე კლასის დონეზე. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის დიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას.

აღსანიშნავია, რომ რამოდენიმე კათედრაზე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრთა უმრავლესობა თანამშრომლობს ერთმანეთთან და ღირეუცუასთან, თუმცა არა ყველა. ერთი-ერთი პედაგოგი ღიად გამოთქვამდა პროტესტს, რის შემდეგაც შეინიშნებოდა სიტყვიერი დაპირისპირება კათედრის წევრებს შორის აღნიშნული თავისთავად არაჯანსაღად აისახება კათედრის მუშაობაზე, და მიმღებლობის ხარისხიც ნაკლებია. **სტანდარტი ამ ეტაპზე დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი/ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად:

ამ ეტაპზე სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება დაფუძნებულია საგნობრივი კათედრების წლიური ანგარიშებზე. კათედრის წევრები აკვირდებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ უკუკავშირი უმეტეს შემთხვევაში

ზეპირსიტყვიერია. ვინაიდან სკოლას არ აქვს შემუშავებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ასევე ვერ ექნება მონიტორინგის მექანიზმებიც გაწერილი. აღსანიშნავია, რომ სკოლა ახალი სასწავლო წლიდან გაწერს თუ როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რითაც სრულყოფილად წარმოაჩენს მეთოდოლოგიის არსს. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 1.09.2023-11.09.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - ☐ კოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმებში და კათედრების ოქმებში ასახულია პედაგოგთა ურთიერთდასწრების საფუძველზე გაკეთებული ანალიზი, აღნიშნულია, რომ ურთიერთმონიტორინგი ხელს უწყობს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას. ოქმში გაანალიზებულია საშუალო საფეხურის მოსწავლეთა შედეგები, განმავითარებელი კომენტარების საშუალებით. მოსწავლეთა დაკვირვების საფუძველზე გამოკვეთილია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და შესაბამისად დაგეგმილია შემდგომი ინტერვენციები. თუმცა, სკოლას მტკიცებულების სახით არ წამოუდგენია აღნიშნული აქტივობების სხვა დამატებითი მტკიცებულება (დაკვირვების ფორმები, მასწავლებლების ანგარიშები და სხვა), ასევე სკოლას არ წამოუდგენია მონიტორინგის კონკრეტული მექანიზმი. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 1.09.2023-11.09.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - ☐ კოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ამ ეტაპზე მასწავლებლების გაკვეთილებზე

ურთიერთდასწრება და უკუკავშირის მიცემა, მასწავლებელთა რეფლექსიები, კათედრის სხდომებსა და პედ საბჭოზე გაკეთებული ანალიზები არის სპონტანურად, მაგრამ კათედრაზე გამოთქვამენ მზაობას ჩამოაყალიბონ შეთანხმებული მეთოდოლოგია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.1.3 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 1.09.2023-11.09.2023წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია - სკოლამ შეიმუშავოს მონიტორინგის მექანიზმები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა;
- პედ.საბჭოს ოქმი N5;
- მათემატიკის კურიკულუმი ;
- თვითშეფასების კითხვარი ;
- სკოლის სტატუსის მადიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს:

სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) უნდა იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომლებიც საჭიროებს დახვეწას, მასწავლებლების ინტერვიუდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში და უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. რადგან სკოლაში გამოცდილება არსებობს, შეიძლება ითქვას რომ აქვთ მზაობა ამ მიმართულებით, შესაბამისად ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება.. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით:

სკოლა წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს რომ მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას დაეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, წრე და სხვა. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი.

ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეეცდებიან გაითვალისწინონ სხვადასხვა კონტექსტები, როგორც მოსწავლეთა შეფასებისას, ასევე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესში. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას.

რადგან სკოლაში გამოცდილება არსებობს, შეიძლება ითქვას რომ აქვთ მზაობა ამ მიმართულებით, **შესაბამისად ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები:

სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს, ტარდება ინტერვიუები, ხარისხის ჯგუფი ზეპირსიტყვიერად აწარმოებს შეფასებას და ანალიზის საფუძველზე ისახება პრობლემის გადაჭრის გზები და სამომავლო გეგმები. დირექციის წევრებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმში იგეგმება სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მექანიზმის გაწერა და ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდების ანკეტირების, გამოკითხვის, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებთან დიალოგის, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვების დანერგვა სკოლაში. **ამ ეტაპზე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

მასწავლებლების ხელვა ნაწილობრივ ასახავს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ კურიკულუმის შეფასებისას ყურდნობიან სხვადასხვა ფაქტორებს, თუმცა ეს პროცესი ზეპირი ხასიათისაა და კურიკულუმის შეფასების ერთიანი სისტემა შემუშავებული არ აქვთ. თუმცა, სასწავლო წლის დაწყებამდე უცხოური ენების საშუალო საფეხურზე შემუშავებენ შეფასების სისტემას, სადაც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები. რადგან ზეპირსიტყვიერად უკვე ეს გამოცდილება არსებობს, შეიძლება ითქვას რომ აქვთ მზაობა ამ მიმართულებით. **აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინტერვიუ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, თუმცა ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმადი ვკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომ მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს ხარისხის გავითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. ამ ეტაპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება ინფორმაციის რეფლექსია თუმცა სკოლა გამოხატავს მზაობას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შესაქმნელად. რადგან სკოლა ზეპირსიტყვიერად ახორცილებდა კურიკულუმთან დაკავშირებულ სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენასა და გაზიარებას, შეიძლება ითქვას რომ აქვთ მზაობა ამ მიმართულებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**

რჩევა - სასურველია, რომ კონსტრუქტივიზმის ყველა პრინციპზე იყოს ნაფიქრი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ვინაიდან, კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების SWOT ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კათედრამ გამოხატა მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზე და აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები რათა დაწერილი და განხორციელებული კურიკულუმებიდან მხოლოდ რეალურად განხორციელებული ეხმარება მოსწავლეს საფეხურის დასრულების შემდეგ ყველა იმ უნარის განვითარებაში, რას მთელი ცხოვრების მანძილზე

გამოადგებათ. რადგან კათედრის წევრები ზეპირსიტყვიერად უზიარებენ კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ერთმანეთს და შესაბამისად აქვთ მზაობა შეიმუშაონ რეკომენდაციები შეემდეგ წელს კურიკულუმის დასახვეწად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი/განაცხადი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

20,09,2023

თარიღი


















